


1920

ა. ნ. ნანუაშვილი




ქუთაისის ტან-სამსახურთა სემოგალოება „მეხსიერება“-ს ღრუმეფთხეფიანი ტყვებანო.

№ 1. თებერვალი 1920.



346 22



წინათქმა.

- ს. ასლანიშვილი: ადამიანის სხეული და ფიზიკური ვარჯიშობანი.
- გ. ნიკოლაძე. საშვეარდნო ტანვარჯიში გზაწყობი (მეთოდი).
- დ. ჯაფარიშვილი. ტან-ვარჯიშულ თამაშობების მნიშვნელობა.
- კ. კაკაბაძე. „შვეარდენი“-ს დაარსების მიმოხილვა ქუთაისში.
ტირშის (შვეარდნულ) წყობის სისტემა.
- გ. ნიკოლაძე. ქართულ საზოგადოებას.
- მ. გორგაძე. ქუთაისის „შვეარდენი“-ს შენობის საკითხი.
ტან-ვარჯიშობის საქმე ქუთაისის სასწავლებლებში.
- კ. კ. + ისონ გაბაშვილი (ნეკროლოგი).
- ს. ა. ბიბლიოგრაფია. საშვეარდნო ტერმინოლოგია.
- . თუმანიშვილის. ყდა.
- ვ. ჭეიშვილის. ვინეტა.

ქუთაისი. თებერვალი 1920 წ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტან-ვარჯიშობის საქმეს კაცობრიობისათვის, ამას გვიჩვენებს ჩვენ ის მრავალი სხვა და სხვა ტან-სავარჯიშო საზოგადოებები და ის სამეცნიერო-სამკურნალო შრომანი, რომელზედაც მრავალი მეცნიერი მუშაობს. ბევრმა შეიგნო ის მცნება, რომ მხოლოდ „ჯანსაღ სხეულშია ჯანსაღი სული“, „ჯანსაღ სხეულშია—ჯანსაღი აზრი, ჯანსაღი ნება“. ამ მცნებების ვარდა დიდი მცნება „მშობა-ერთობა-თავისუფლების“ იყო მთავარი, რომელიც პირველათ თავის დროშაზე წააწერა ტან სავარჯიშო საზოგადოება „შვეარდენი“-მა. ეს იყო 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ჩეხების პატარა სამშობლოში, რომელიც როგორც ჩვენს ჰაწია საქართველო, გადაგვარების გზას მიეცა უცხო ძალის მონობის ქვეშ. საუკეთესო ადამიანებმა ხალხის ასევე ზნეობრივს და ეროვნულს დაცემას ბრძოლა გამოუცხადეს და მათ ვაჯანსაღების საშუალებათ ტან-ვარჯიშობის საქმის გავრცელება აღიარეს. მხოლოდ 1862 წ. დაარსდა „პირველი ჩეხური ტან-სავარჯიშო საზოგადოება“, რომელმაც დიდი სიყვარული დაიმსახურა ხალხში. მთავრობა გასაუფლს არ აძლევდა „შვეარდენს“, მაგრამ მის მეთაურების მკურნალ ტირშის და ფიუგენერის წყალობით „შვეარდენი“-მა მძლავრი ფრთები შეისხა და პირველ წელსვე მას 8 ახალი საზოგადოება გამოეხმაურა. ეს ჩეხური შვეარდნული საზოგადოებები (ედნოტები) თან და თან იზრდებოდა და როდესაც შესდგა პირველი შვეარდნული ყრილობა, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ, როგორც ეს მიღებულია შვეარდენში, მოხდა შვეარდნების პირველი მოფრენა პრაჰაში 1882 წ., მაშინ უკვე ითვლებოდა 96 ჩეხური ედნოტი ანუ საზოგადოება, მხოლოდ 1901 წელს შვეარდენის მეოთხე მოფრენის დროს ითვლებოდა უკვე 571 საზოგადოება „შვეარდენი“. რამდენი საზოგადოება იყო ჩეხეთში 1912 წ., როდესაც მოხდა მეექვსე მოფრენა, ჩვენ ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ციფრები ნათლათ გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა „შვეარდენი“-ს იდეები ჩეხეთში. ახლა რამდენი საზოგადოება არსებობს სხვა და სხვა ქვეყნებში—ეს კიდევ სხვა.



მკურნალი მიწვლავ ტირში.

ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ს
პირველი დამაარსებელი ჩეხეთში 1862 წელს.

* 17. IX. 1832. † 8. IX. 1884.

4

„შევარდნულ იდეების გასავრცელებლათ ტირშმა დააარსა ჟურნალი „შევარდენი“, რომლის დევიზიც იყო: ხალხის ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდა, მთელი ხალხის გაკეთილშობილება და მომზადება მისი ძალ-ღონის, სიმარჯვის და განათლების მხრივ. (С. Конишек. Сокольество. გვ. 5).

აი სწორეთ ამ მიმართულებით გაიკადავს აგრეთვე ახალ გზას საქართველოს თავისუფალ სახელმწიფოში ამ დარგში ჩვენი პირველი ჟურნალი „შევარდენი“, რომელიც შევარდნულ იდეების გავრცელებას ეცდებოდა ჩვენს ნორჩ რესპუბლიკაში და არ უღალატებდა იმ მიზნის განხორციელებას, საქართველოში რომ დაისახა „შევარდენი“-ს ყველა საზოგადოებებმა. ეს მიზანი კი შემდეგია:

აღზრდა საშობლოსათვის ღირსეული შვილებისა, განვითარება თავის წევრებში ტანის სისხარტისა, სიმარლისა, ვაჟაკობისა და გამბედაობისა, აგრეთვე შეგნება წესრიგაიანობისა (დისციპლინისა), მოვალეობისა, მშობა-ერთობა-თავისუფლებისა, სიმშვენიერის გრძნობის განვითარება და ამ რიგად ხელის შეწყობა ქართულ შევარდნობის აზრის განხორციელებისთვის, რომელიც მისწრაფვის საზოგადოებრივ ტან-ვარჯიშის ფართო გავრცელებით გააძლიეროს საქართველოს ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე.

და ჟურნალი „შევარდენი“ არ დახრის იმ დროშას, რომელსაც შემოთმობსენებული სიტყვები აწერია და მედგრად შესძახებს არამც თუ მარტო ახალგაზღობის, არამედ მთელ ქართველ ერს და მის დემოკრატას: იყავით ძლიერნი და ჯანსაღნი, როგორც სხეულით, აგრეთვე სულით, თუ გინდათ მტკიცე იყოს თქვენი თავისუფლება, თავისუფლება ჩვენი სამშობლოსი.

გამარჯვებით!

სოსო ასლანიშვილი

ქუთაისის საზოგადოება „შეგარდენი“-ს მკურნალი.

ადამიანის სხეული და ფიზიკური ვარჯიშდანი.

1.

დიდი ხანია კაცობრიობის შეგნებული ნაწილი, მათ შორის უმთავრესათ მკურნალი, წინაღუდგენ და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს აღზრდის იმ სისტემას, რომელიც ჰკლავს და იმონებს ადამიანის სხეულს, ხელს უშლის მის განვითარებას და ამ მხრივ, რასაკვირველია, სულიერათ და გონებრივათაც სცემს ადამიანს.

„Mens sana in corpore sano“ — „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ — თქმულია უძველეს დროიდან და მეცნიერებმაც სწორეთ ამ თვალსაზრისით მიუდგენ საკითხს და ამიტომაც ჰგომობენ აღზრდის იმ სისტემას, რომელიც სხეულთან ერთად ადამიანში ჰკლავს აგრეთვე სულს.

სასწავლებლებში განვითარებული სნეულებანი, მაგალითად სიბეცე, ხერხემლის გაბრუნება, ნერვების ავთამყოფობანი, როგორც შედეგი გონებრივ დაღლილობისა, ფილტვების სისუსტე უმთავრესათ — აი ყოველივე ეს შედეგია სხეულის განუვითარებლობისა, რაც საშინლად აფერხებს მომავალ თაობის ძალღონის და ჯანსაღობის განვითარებას, ვინაიდან ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სუსტი თაობა თავის სისუსტეს და უძლიერებას აძლევს მომავალ თაობას.


ჩვენ საზოგადოებაში ყალბი წარმოდგენა არსებობს საერთოთ ადამიანის ყოველ მხრივ ჰარმონიულ განვითარების შესახებ და ვერ წარმოუდგენიათ თუ რა მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯანსაღ სხეულს ადამიანის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე. აღზრდის ძველი სისტემის წყალობით ეკარგება ახალგაზღვრბას ცოცხლობა და სიმზიარულე, რაც ჯანსაღობის ნამდვილი გამომხატველია. ფიზიკურ აღზრდა-განვითარების შესწავლას და საერთოთ ტან-ვარჯიშობის საქმეს საპატოა ადგილი უნდა დაეთმოს ადამიანის განვითარებაში, ვინაიდან ჯანსაღობა ეს მთავარი ძარღვია ადამიანის კეთილდღეობაში. ჯანსაღობა კი მოითხოვს, რომ სწორეთ მიმდინარეობდეს სხვადასხვა ორგანოების მოქმედება და შესაფერისი იყოს მათი განვითარება; ამისათვის ჩვენ ვეცდებით გავარკვიოთ ცალცალკე სხეულის სხვადასხვა ორგანოთა მოქმედება და ის მნიშვნელობა, რომელიც მოაქვს მათზე ტან-ვარჯიშობის საქმეს.

უპირველესათ ყოვლისა ამ პირველ წერილის საგანთ ავიღებთ გულ-მკერდს ანუ გულის ყაფაზს, სადაც სხვა ორგანოთა შორის მთავარი ადგილი უკავია ფილტვებს და ეს უკანასკნელიც რასაკვირველია გულის ყაფაზთან ერთად იქნება აგრეთვე ჩვენი წერილისა მთავარი საგანი.

„გულ-მკერდს წარმოადგენს ღრუს, რომელიც უკანიდან მოსახლერულია ხერხემლის სვეტით და ნეკნების უკანა ბოლოებით კუთხეებამდე, გვარდებიდან — ნეკნებით და წინიდან ნეკნების ღრტილით და მკერდის ძვლით. გულის ყაფაზს აქვს ზევით და ქვევითა ხერელი. ზევითა ხერელი მოსახლერულია პირველი მძივის სხეულით, პირ-

ველი ნეკნით და მკერდის ტარის საუღლე ნაჭდევით. ქვევითა ხერელი მოსაზღვრულია გულ-მკერდის მე-12 მძივის სხეულით, მე-12 ნეკნის ნაპირით, მე-11 ნეკნის ბოლოთი და დანარჩენ ხრტილოვან ნეკნების რკალით და მახვილისებრი მორჩით. გულ-მკერდის მიდამოს მძივთა სხეულები გამოწეულია მის სიღრუვეში, რომლის გვერდებზედაც მდებარეობს ორი ღრმა ნაკვალავი ფილტვების მოსათავსებლათ.¹⁾ „ყოველ ფილტვს კონუსის მოყვანილობა აქვს, რომელიც შუაზე არის გადაჭრილი; მასზე არჩევენ ქვემო შედრეკლ ზედაპირს ანუ ფილტვების ფუძეს; ზევითკენ ფილტვი თანდათანობით ვიწროვდება და ჰქმნის მორგვალეზულ ფილტვის მწვერვალს. მარჯვენა ფილტვი სამი ნაწილისაგან შესდგება, მარცხენა კი — ორისაგან. მარჯვენა ფილტვი უფრო დიდი, მოზრდილი და მძიმეა, მარცხენა ფილტვი კი მარჯვენასთან შედარებით ნაკლები, ვიწრო და სუბუქია.“²⁾

6



მარცხნით ნორმალური გულის ყაფაზი, მარჯვნივ ქლექიანი გულის ყაფაზი.

გულის ყაფაზი დროთა სვლაში განიცდის განვითარებას და თანდათან იცვლება მისი სახე და თუ რა დროს ხდება ასეთი ცვალეზადობა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ორი პერიოდი: ერთი, როდესაც ეს ცვალეზადობა ხდება ისევ დედის სხეულში და მეორე, დაბადების შემდეგ, რაც მთავრდება ოც წლამდის. ამის შემდეგაც ხდება რასაკვირველია ცვალეზადობა, მაგრამ ამ შემთხვევაში მოქმედებენ სხვადასხვა სნეულებანი და აგრეთვე სიბერე. გულის ყაფაზის განვითარება დამოკიდებულია უმთავრესათ კუნთების განვითარებაზე და „იმისაგან ადამიანი, — ამბობს პროფესორი ალექსანდრე ნათიშვილი — რომელთაც კუნთები საერთოთ სუსტათ აქვთ განვითარებული

და ამასთანავე ფილტვების ავთამყოფობა ადვილათ უჩნდებათ, ჩვეულებრივ გრძელი, ბრტყელი და ვიწრო გულ-მკერდი აქვთ“. (იხილე მისი „ადამიანის ნორმალური ანატომია“. ნაწ. I. გვ. 36).

ამდგავარ ჩვენ რომ დავაკვირდეთ მოზარდ ადამიანის გულის ყაფაზს, შეგვიძლია გავარჩიოთ მისი ორგვარი ფორმა: 1) სწორეთ აგებული გულის ყაფაზი, როდესაც ნეკნების გამაგრების პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულია და 2) ბრტყელი, სრულიად განუვითარებელ კუნთებიანი, ასე რომ ვსთქვათ დამბლა დაცემული გულის ყაფაზი. არის აგრეთვე ეგრეთ წოდებული ქლექიანი ანუ ქლექიან — დამბლა დაცემული გულის ყაფაზი. სურათი, რომელიც აქვე მაქვს მოყვანილი, ნათლათ გვიჩვენებს განსხვავებას ჯანსაღ და დასნეულებულ ადამიანთა გულის ყაფაზის განვითარებისას. თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანსაღობისათვის და რასაკვირველია მის კეთილდღეობისათვის კარგათ განვითარებულ გულ-მკერდს ანუ გულის ყაფაზს,

¹⁾ პროფესორი ალექ. ნათიშვილი. ადამიანის ნორმალური ანატომია. ნაწ. I. გვ. 35.

²⁾ „ „ „ „ „ „ ნაწ. II. გვ. 33—34.



ქუთაისის ტან-საყარიჯიშო საზოგადოება „შევიარდენი“-ს საბჭო.

მარტხნიდან მარჯვნივ სხედან: მ. გავაშელი, მ. ვარლამანიძის ასული, ა. ჩხენკელი (თავმჯ. 1 ანხ.), კ. სულაქველიძე (თავმჯ.დომარე), ნ. მისაბიშვილი (თავმჯ. 2 ანხ. ი. გეგეოაშვილი; დგანან: გ. სვანიძე (მოლარე), დ. ჯავრიშვილი (ვარჯიშთაფი), ს. ასლანიშვილი (მოურავი და მდივანი), ვ. ახვლედიანი.

აქ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ცოტაოდნათ მაინც თვალი გადავაგლოთ იმ სნეულებათ, რომელნიც გამოწვეულია ფილტვების სისუსტით და უმთავრესათ კი გულის ყაფაზის სივიწროვით, გულის ყაფაზის განუვითარებლობით. ფილტვების განვითარების შეჩერებას ხელს უწყობს, რასაკვირველია, გულის ყაფაზის განუვითარებლობა, უმთავრესათ კი განუვითარებლობა პირველი ნეკნისა, რომელიც ფილტვების მწვერვალებს რკალივით შემორტყმია, რის გამოც მათ არა აქვთ ადგილი თავი სუფალ მოძრაობისა, მით უმეტეს რომ მათ ზრდას სრულიადც ვერ აჩერებს ზევითა ხერელოს სივიწროვე. ამდაგვარ ფილტვებს ეკარგება მოქმედების და მოძრაობის უნარი, ისენი ვერ ითვისებენ სავსებით ჰაერს და სისხლის მიღებაც რასაკვირველია ნაკლებათ იკვებება სისხლით. ყოველივე ეს არის მიზეზი რომ ფილტვების მწვერვალებში „ბაქტერიულ სნეულებათათვის შესაფერისი ნიადაგი იქმნება. ყველასათვის ცნობილია, თუ რა უთვალავი მსხვერპლი მიაქვს ფილტვების ქლექს, რომელიც უმთავრესათ ფილტვების მწვერვალებში იწყება და მიაქვს სწორეთ სიცოცხლის მეორე ათეული წლების შუა ან დამლევს, ე. ი. სწორეთ იმ დროს როდესაც ფილტვების მწვერვალები თავის უკანასკნელ მდებარეობას იკერენ. ხერელოს სივიწროვე-როგორც ქლექიანების გულის ყაფაზის დამახასიათებელი, წარმოადგენს, სხვათაშო,

რის, ერთ მომენტთაგანს, რომელზეც უნდა მიუთითოთ, როგორც რომ ასეთ საშინელ მოვლენების მიზეზს.“¹⁾

ქლექი ფილტვების ერთ მწვერვალიდან გადადის მეორეზე, შემდეგ ერთი ფილტვის ქვედა ნაწილზე და ასე ამგვარათ ვითარდება მისი მსვლელობა. ქლექისადმი განწყობილი ადამიანის სხეული დასუსტებულია ყოველმხრივ. მაგალითად მისი ძვლები წვრილია, კუნთები უძლიურია, კანი თხელია და სხ. რაც შეეხება გულის ყაფაზს იგი დაშვებულია, რადგან კისრის კუნთები უძლიური არიან დიკავონ იგი, რის გამოც კისერი ვრძელდება და ბეჭები კი წინწამოწეულია. ყურადსაღებია ეს ეგრეთწოდებული „წინწამოწეული ბეჭები“, რომლითაც ასე უხვათ დაჯილდოვებულია ჩვენი ახალგაზრდობა; ჩვენ გვიხდება პერიოდიული გაშინჯვა მოვარჯიშებისა და პირველ გაშინჯვამ შემდეგი შედეგი მოგვცა: 316 გაშინჯულ მოვარჯიშებში 248 წინწამოწეულ ბეჭებით იყვენ, ე. ი. 78,5%²⁾ რასაკვირველია „თუ კი ასეთ დასუსტებულ ნიადაგზე მოხდება ქლექის ბაცილები, მათ შეუძლიათ ქლექით დასწელება გამოიწვიონ. საჭიროა ვიცნოთ, რომ სხეულის დასუსტებული მდგომარეობა არის მთავარი ფაქტორი ფილტვების ქლექის განვითარებისა. ეს ფაქტორი თუ არ არსებობს, ქლექის ბაცილები, რომელიც სასუნთქავ მილებში ხვდება, იქნებიან გამოდევნილი, დაიხოცებიან ან ჩარჩებიან ბრონხისა და სასულეს ჯირკვლებში და სხვა და სხვა, მაგრამ შესაძინევ ფილტვების პროცესს არ გამოიწვევენ. ქლექის ბაცილები ხვდება ყველას სასუნთქავ მილებს. 500 მოზარდ ადამიანის გემის დაწვრილებითი მიკროსკოპიულ გამოკვლევის თანახმათ ნეჰელობა ნახა ქლექის პროცესი 97%³⁾ ში.“²⁾ „განწყობილება ადამიანისა ქლექისადმი ძლიერ დიდია და ამის გამო აიხსნება სტატისტიკურ გამოკვლევებით დამტკიცებული საშინელი ფაქტი, რომ თიუქის მთელი ხალხის 1/7 ქლექიდან კვდება.“³⁾ ქლექი ეს საშინელი სენი უმთავრესათ ეტანება ახალგაზრდობას და სწორეთ ამ მხრივ გემართებს შებრძოლება მასთან, მივიღოთ ზომები ახალგაზრდობის გაჯანსაღებისათვის. ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლებლებში ტან. ვარჯიშობის საქმეს, რადგან „სკოლაში სიარულით ფილტვებისათვის იქმნება ფაქტორები, რომელთაც შეუძლია ხელი შეუწყონ განწყობილ ბავშვებს ნამდვილ სერიოზულ ფილტვების დასწეულების, სახეილდობრ ქლექის განვითარებას. ეს ფაქტორები არიან—ცუდი, გაფუჭებული ჰაერი საკლასო ოთახებისა და სასკოლო ჰაერის მტვერი“⁴⁾).

ყოველივე ზემოთ მოხსენებულიდან ნათლათ ჩანს თუ ქლექი როგორ ანადგურებს კაცობრიობის ერთ უდიდეს ნაწილს და ისიც ნეთელია ჩვენთვის თუ უმთავრესათ რისთვის იკიდებს ფეხს ასეთი სწეულება. მიზეზი რასაკვირველია არის ადამიანის სხეულის სისუსტე, რომელსაც სჭირდება განვითარება ფიზიკურათ. კარგი განვითარებული ფილ-

1) Проф. Блоняли. Гигиена тѣлесных упражненій. гз. 26.
2) Проф. К. Буйевич. Руководство к изучению внутренних болѣзней. Частная паталогія и терапия. гз. 192.
3) Проф. А. Штрюмпел. Учебник частной паталогія и терапия внутренних болѣзней. Т. I. гз. 315.
4) Проф. Ф. Бидерт. Болѣзни дѣтей школьнаго возраста. Школьная гигиена. гз. 57.

ტყეები მხოლოდ კარგ განვითარებულ გულის ყაფაზეა. ამისათვის კი საჭიროა დიდი ყურადღება მიექცეს ფიზიკურ სწავლა-განათლების საქმეს, ადამიანის სხეულის გაჯანსაღების საქმეს; ტან-ვარჯიშობას უნდა დეთმოს ადამიანის ცხოვრებაში საბატიო ადგილი, თუ კი გვირდა რომ ფიზიკურათ მთლათ არ გადაგვარდეს ჩვენი ხალხი. სწორეთ ასეთ უყურადღებობის და გულცივობის გამო მრავალი ბავში, რომელთაც თავის დროზე ვერ მოუარეს, სამუდამოთ დარჩენ სუსტები, მათი როდესაც ტან-ვარჯიშობა მათ დიდ სარგებლობას მოუტანდა. ჩვენ ვეცდებით შემდეგ წერილებით ნათლათ გავარკვიოთ ყოველივე, თუ რანიართ უნდა მიმდინარეობდეს ტან-ვარჯიშობის საქმე საერთოთ, რომ მან არავითარი ზიანი მისცეს ადამიანის სხეულს, მხოლოდ ახლა კი დავამთავრებთ ჩვენს საუბარს და აღვნიშნავთ რომ შევარდნული ვარჯიშობის სისტემა ანუ მკურნალ ტირშის სისტემა ეს არის ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე აშენებული ვარჯიშობის სისტემა, რომელსაც მოაქვს ადამიანის ყოველმხრივი განვითარება და რომელიც მომავალში, როგორც რომ მთელ მსოფლიოში, აგრეთვე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდ და კარგ ნიადაგს მოიპოვებს.

გიორგი ნიკოლაძე

ტფილისის საზოგადოება „შევარდნი“-ს თავმჯდომარის ამხანაგი.

სამეგარდნო ტანვარჯიშის გზაწყობი (მეთოდი)*.

პრესაში აზრი გამოითქვა („საქართველო“ 28 მარტიმობისთვე 1918 წ.) ვითომ „შევარდნული“ ტანვარჯიში არსად არ არის განთქმული, გარდა სლავიანების და რუსეთისაო*.

მივმართოთ ფაქტებს. ევროპაში არსებობს საერთაშორისო ტან-სავარჯიშო კავშირი, რომელშიც, გარდა გერმანელებისა, თითქმის ყველა ევროპის ერები შედიან. ომამდის ეს კავშირი ორ წელში ერთხელ მართავდა საერთაშორისო შეჯიბრებებს, სადაც ყოველი ერი თავის საუკეთესო ტანვარჯიშოში გაწვრთნილ წარმომადგენლებს გზავნიდა შეჯიბრება მოხდა 1907 წ. ქალაქ პრაჰაში (ჩეხეთი); 1909 წ. ქალაქ ლიუქსემბურგში (ლიუქსემბურგის სახელმწიფო); 1911 წ. ქ. ტურინში (იტალია) და, უკანასკნელად 1913 წ. პარიზში (საფრანგეთი). ამ შეჯიბრებებს ევროპის უმჯობესი ძალები აწყობენ, უეცრელეს პროგრამით და მეტად მკაცრ პირობებში. მოვარჯიშეს უნდა შეესრულებინა მთელი რიგი სხვა და სხვა გვარ ტანვარჯიშობისა, როგორც სავარჯიშო იარაღებზე, ისე უიარაღოდაც. რბენა, ხტომა, ბადროს (დისკოს), ბირთვის, შუბის ტყორცნა და სხ. ესე იგი, იმარჯვებდა მხოლოდ ყოველმხრივ გაწვრთნილი მეტოქე.

*) მთა გიორგი ნიკოლაძის წერილი „სამეგარდნო ტანვარჯიშის გზაწყობი (მეთოდი)“ მოთავსებული იყო გაზეთ „საქართველო“-ს ფურცლებზე № 179. 1918 წელს, მაგრამ რადგან წერილი ძლიერ დამახინჯებული დაბეჭდა, ამი თვისი ქურნალი „შევარდნი“-ს რედაქცია როგორც მნიშვნელოვან წერილს ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე.

რედაქცია.

ამ ოთხ შეჯიბრებაში, ერთხელ (ლიუქსემბურგში) საფრანგეთის მოვარჯიშეთა ჯგუფმა გაიმარჯვა; ჩხელ შევარდნებს მაშინ მეორე ადგილი ერგო. დანარჩენ სამ შეჯიბრებაში კი, სახელდობრ, პრაჰაში, ტურინში და პარიზში ჩხეთის შევარდნებმა გაიმარჯვეს, განსაკუთრებით სასტიკად დაამარცხეს მათ თავიანთი მეტოქეები ტურინში და პარიზში.

„შევარდენ“-მა ჩრდილო ამერიკაშიც გაიღდა ფესვი და დიდი სახელიც შეიძინა. ყველა შტატების ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში, რომელიც 1912-ს ქალაქ ჩიკაგოში მოხდა, ყველა სხვა მოვარჯიშეები ამერიკულ შევარდნებმა დაამარცხა. იმავე ამერიკულ შევარდნებმა 1912 წ. სრულიად შევარდნთა მეექვსე ყრილობაზე (პრაჰაში) 1400 თავისი მოვარჯიშე გამოგზავნეს.

ევანგ, აქ მოყვანილი ცნობებიც საკმაოა იმის საჩვენებლად, თუ რამდენად მართალია თქმა, ვითომ „შევარდენ“-ლი ტანვარჯიში არსად არ არის განთქმული“. იმავე ნაწერში ნათქვამია, თითქოს „ბევრ ქვეყნებში შევარდნობა მთლად მიატოვეს უვარგისობის გამო“ და სხვებიც აუცილებლად იმავე გზას დაადგებიანა“. სასურველია, ამ შეხედულობის გამომთქმელმა ის ქვეყანა დავისახელოს, რომელსაც საშევარდნო ტანვარჯიში შემოედოს და მერმე მიეტრეფია. ასეთი ქვეყანა არ არსებობს. პირიქით, შემდეგ მაგალითს მოვიყვან. 1908 წელს ჩხებმა დაბატოვეს ინგლისში საშევარდნო ტანვარჯიშის საჩვენებლად. ჩხებმა რაღაც პოლიტიკურ მოსაზრებით უარი თქვეს. მაშინ ინგლისელებმა პრაჰაში თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს იმ მოსაზრებით, რომ ინგლისის სურს ტანვარჯიშში ახალ გზას დაადგეს და ამიტომ მას სხვა და სხვა ტანვარჯიშული გზაწყობები აინტერესებს, უმთავრესად კი საშევარდნო.

10

შევარდნები დათანხმდნენ და ლონდონს 8 კაცი გაგზავნეს. მაშინ იქ სამ ტანვარჯიშულ გზაწყობის ჩვენება-შეჯიბრება მოხდა: საშევარდნოსი, ფრანგულის და ინგლისურის აქ, ინგლისის დედა ქალაქში, სადაც ვარჯიშობა ძველის ძველიდან განთქმულია, შევარდნებმა საოცრად გამარჯვეს, ინგლისელები განცვიფრებაში და აღტაცებაში მოყვანეს, უმთავრესად კი იმით, რომ ინგლისელები, სხვათაშორის, იმ საგნებზეც დაამარცხეს, რომლებზეც ისინი განსაკუთრებით განთქმული იყვნენ, სახელდობრ ხტომაში, რბენაში და თავისუფალ მოძრაობაში. ინგლისელებმა პირველი ჯილდო შევარდნებს მიართვეს. ეს ჯილდო ძველებურ მძიმე ვერცხლის ფარს წარმოადგენდა გამარჯვებულ შევარდნების ამ ფართი პრაჰაში დაბრუნება ძველ საბერძნეთის დროს გვაგონებს. სადგურთან მათ ორას ათასსზე მეტი ხალხი შეეგება და ამ მიგებების დიდებული სურათი, დამსწრეთა სიტყვით, მნახველის ხსოვნიდან არასოდეს ამოიხოცება.

ლონდონში მაშინ ფრანგებიც დამარცხდნენ. შევარდნთა დიდებულ ყრილობის დროს 1912 წ., პრაჰაში, სრულიად საფრანგეთის ტან-სავარჯიშო კავშირის თავმჯდომარემ ხალხის ფიზიკურ განვითარების შესახებ შემდეგი სთქვა: „ჩვენ, ფრანგებს, მხოლოდ ჩხებების კულშილა უიშედო ჩანჩალი დაგვრჩენია“. ეს სიტყვები პრაჰის ყრილობის დამსწრეს არ გააკვირვებს. ჩხელ მოზარდთა ცოცხალ და მხნე გამომეტყველებას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მარტო ამ სურათის ნახვაც საკმაოა იმისთვის, რომ



ტფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევიარდნი“-ს საბჭოს თავმჯდომარე
კაპტე კაკაბაძე

ყველა აშკარად და სამუდამოდ დარწმუნდეს, თუ რამდენად უმცლარია ზემოხსენებულ წერილის აზრი, ვითომ „საშევიარდნო გზაწყობი მოზარდის ნორჩი სხეულისთვის მავნებელი და დამამახინჯებელი არისო“.

ამის შესახებ სჯობს შევეკითხოთ ჩეხელ მკურნალებს, რომელნიც ამ საგანს უკეთ იცნობენ და, სწორედ ამიტომაც ასე გულმოდგინედ ცდილობენ თავის ერში, რაც შეიძლება უფრო ღრმად და ფართოდ ჩანერგონ საშევიარდნო ტანვარჯიში. მოხსენებულ წერილის ავტორს მხოლოდ შეედური ტანვარჯიშის გზაწყობი სწამს, რომელიც „მთლათ მეცნიერულად არის შედგენილი და საფუძვლად უძევს ანატომიის, ფიზიოლოგიის და ჰიგიენის ცოდნაო“. ცნობილია ტანვარჯიშში, რომ, როგორც შეედურს, ისე ყველა თანამედროვე ტანვარჯიშულ გზაწყობებს გაცილებით სჯობს, სამწუხაროდ უკვე დაკარგული ძველი ბერძნული გზაწყობი. ეს ძველი ბერძნული ტანვარჯიში ახლაც ყველა ერებს მიუღწევდელ ოცნებად აქვთ დასახული, როგორც

ტანის ყოველმხრივ ჰარმონიულ განსავითარებლად, ისე მთელი ხალხის ზნეობრივ აღორძინებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ძველ საბერძნეთის ხანაში დღევანდელი ანატომია, ფიზიოლოგია და ჰიგიენა არსად იყო, თუმცა საშვეარდნო ტანვარჯიშში ანატომიას, ფიზიოლოგიას და ჰიგიენას არა ნაკლები ადგილი უჭირავს, ვიდრე შვედურში, მაგრამ ვერც საშვეარდნო ტანვარჯიშში შეედრება ძველ-ბერძნულს. მას იგი საოცნოდ (დედალად) აქვს დასახული და სხვა თანამედროვე გზაწყობებთან შედარებით, ძველ ბერძნულს, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო საშვეარდნო გზაწყობი უახლოვდება. ამის დასამტკიცებლად, შევადაროთ საშვეარდნო გზაწყობის ძირითადი პრინციპები სხვა გვარ გზაწყობების პრინციპებს.

ამერიკის ტანვარჯიშში შეჯიბრების პრინციპზეა აგებული. იქ მოვარჯიშე ცდილობს ასწიოს მანამდე მიღწეული ტანვარჯიშული „რეკორდები“. მართლაც, ამაში ამერიკელებმა ყველას გაასწრეს და თითქმის ყველა „რეკორდები“ გასაოცარ სიმაღლემდე მიიყვანეს. ამერიკულ ტანვარჯიშის ეს ჯიბრობითი ხასიათი ზოგიერთ არა სასურველ ზნეობრივ თვისებებს ავითარებს. გარდა ამისა, ის ტანის ყოველმხრივ, ჰარმონიულ გაწვრთნას აფერხებს. მაგალითად, გამოჩენილ მორბენალს, ან მოხტუნალს თავის ვარჯიშისთვის საჭირო კუნთები, დანარჩენებთან შედარებით, ზედმეტად განვითარებული აქვს და, აგრეთვე ყოველივე სხვა ცალმხრივ ვარჯიშობის წარმომადგენელს.

12

გერმანული, ევრეთ წოდებული „ტურნერების“ ტანვარჯიშში საშვეარდნოდან თითქმის არ განსხვავდება. ამიტომაც არის, რომ გერმანიაში ტანვარჯიშში ამ უკანასკნელ დროს ასე გავრცელდა. გერმანელ მოვარჯიშეთა, ანუ ტურნერთა რიცხვი ომის წინ ერთ მილიონ ნახევარს აღემატებოდა. საშვეარდნო ტანვარჯიშში იგივე გერმანულია, ოღონდ შეესებული და გაუმჯობესებული. მაგალითად, საშვეარდნო გზაწყობაში არ შედის ის, ევრეთ წოდებული განკერძული (სპეციალური) ვარჯიშობანი, სადაც ადამიანი მხოლოდ ერთ რამე იარაღზე ვარჯიშში იწვრთნება და თავის დარგში მართლაც საკვირველ დახელოვნებას აღწევს. ამის გამო, ასეთ მოვარჯიშეს ტანი, ამერიკულ მოვარჯიშეს მსგავსად, ცალმხრივად იწვრთნება. გერმანელები ამ განკერძულ ვარჯიშობას მფარველობენ. საშვეარდნო გზაწყობიდან კი ასეთი ცალმხრივობაც გამორიცხულია.

ფრანგების და ბელოგიელების ტანვარჯიშში გერმანულიდან გამომდებელია და იმისაგან თითქმის არაფრით განიჩევა.

ფინეთში ტანვარჯიშში ძლიერ გავრცელებულია, მაგრამ ზემოხსენებულ წერილის წინააღმდეგ, იქ, შვედურ ვარჯიშობის მაგიერ, მძლეოსნობა, ე. ი. „მსუბუქი ათლეტიკა“-ა შემოღებული. მთელი ეს შესანიშნავი, მეტად სასარგებლო ტანვარჯიშული გზაწყობა ერთიანად შედის საშვეარდნო გზაწყობაში და ერთს მის ცალკე და მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს.

შვედური, ანუ ლინგის გზაწყობის უმთავრესი განსხვავება შვეარდნულიდან შემდეგშია. ეს გზაწყობი მეცნიერულად იკვლევს, თუ რომელ მოძრაობას რომელ კუნთზე, ან სხეულის რომელ ნაწილზე რა გავლენა აქვს და შემდეგ ცდილობს, ამ გამო-



ქუთაისის ტან-საყარჯიშო საზოგადოება „შვეარდენი“-ს წევრთა ერთი კრებული.

კვლევის მიხედვით, ისეთი მოძრაობანი შეთხზას, რომელნიც სხეულის ყოველმხრივ განვითარებას აღწევდენ. ამ თეორიულად მეტად სასარგებლო და ყურადსაღებ გზა-წყობს, პრაქტიკულად ერთი დიდი ნაკლი აქვს. ზემოხსენებულ გზით შეთხზული მოძრაობა ხშირად უხეში და მომაბეზრებელი გამოდის და თავის მიზანს ვეღარ აღწევს. ამ მიზეზით, შვეიციაში, თუმც მთავრობა ტანვარჯიშის გავრცელებას ყოველმხრივ დახმარებას უწყევს, მოვარჯიშეთა რიცხვი მთელ სახელმწიფოში 2500 არ აღემატება (გარდა მოწაფეებისა). პაწია ჩეხეთში კი, სადაც ავსტრიის მთავრობა ყოველ გვარ ზომას ხმარობდა, ეგებ შვეარდენთა კავშირის მოქმედება როგორმე შეეზღუდა, მოვარჯიშეთა რიცხვი (გარდა მოწაფეებისა) ომის წინ 160.000-ზე მეტი გახლდათ. შვედური ტანვარჯიშის არა ბუნებრივი, ორტოპედიური ხასიათის გამო, მისი გავრცელება ძალიან ძნელია ისეთ ერშიც, როგორიც მაღალ კულტუროსანი, მწყობრ მუშაობას შეჩვეული, შვედები არიან.

თუმცა საშვეარდნო ტანვარჯიში თითქმის მთელ შვედურ თანწყობას (სისტემას) შეიცავს, როგორც ერთს თავის დარგთაგანს, მაგრამ თავის გზაწყობით კი იგი შვედურიდან მკაფიოდ განირჩევა. მისი ძირითადი აზრი იგივეა, რაც ძველ ბერძნულსა: „კარგი და მშვენიერი“. აქ უმთავრესი მნიშვნელობა ღაზათს, ესთეტიურ მხარეს ეძლევა. ვარჯიშის სილამაზე მისი სარგებლობის თავდებია. შვედების უმთავრესი ყურადღება იმაზედ არის მიქცეული, რომ ამა თუ იმ მოძრაობით ესა თუ ის კუნთი გააძლიერონ ან ხერხემალი გაისწორონ. შვეარდენი კი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ულამაზესი მოძრაობა რაც შეიძლება უფრო კონტად შეასრულოს. ის

დარწმუნებულია, რომ ამით ხერხემალიც თავისით უფრო სწორდება და კუნთებიც უკეთ იწვრთნება. მაგრამ, იმავე დროს, საშვეარდნო გზაწყობი კრძალავს ცალმხრივობას. რაგინდ ლამაზი იყოს ესა თუ ის მოძრაობა, მოვარჯიშეს ეკრძალება იმით გადაქარბებული ვარჯიშობა. ეს ხელს უწყობს ტანის ლამაზ მოქნილობას. მართალია, შვედარდნულად გაწვრთნილის ტანი ძველ ბერძნულისას ვერ შეედრება, მაგრამ, ეხლანდელ სხვა გვარად აღზრდილ ტანს რომ შევადაროთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ საშვეარდნო გზაწყობი ყველაზე უფრო სწორ და ბუნებრივ გზაზე დგას და, იმედია, ოდესმე, ძველ ბერძნულსაც აღარ ჩამორჩება. /

მართლაც, სილამაზის გრძნობის საფუძველი, ხომ სიმხნის ყაირათი (ანუ ენერჯის ეკონომია) არის: უფრო ლამაზად ის მოძრაობა გვეჩვენება, რომელიც ამა თუ იმ შედეგის მისაღწევად, ნაკლებ ჯაფას ხარჯავს. ამ-ტომაც ეს, სილამაზეზე აგებული, არა პირდაპირი გზა ჯანმრთელობისამედი, სხვა ყველა გზაზე უფრო მოკლეა და სახალისო. ამასთან ერთად, ესთეტიური გრძნობების განვითარებას კი დიდათ სასარგებლო ნაყოფი მოაქვს ერისთვის. სწორეთ ამ ბუნებრივ საფუძველზე ემყარება საშვეარდნო ტანვარჯიშის ასეთი გასაოცარი ხალხის მიმზიდველი ძალა და ეს არის მისი მომავალის გაძლიერების უტყუარი საბუთი.

14

საშვეარდნო გზაწყობში მეცნიერებასაც თავისი ადგილი უჭირავს. სილამაზის თვალსაზრისით შეთხზულ მოძრაობებს ყოველმხრივ მეცნიერულად იკვლევენ და შეისწავლიან. შევეციასავით, პრაპაზიაც ტანსაგარჯიშო ინსტიტუტი არსებობს, სადაც გამოჩენილი შვედარდნები საბოლოო სწავლას იღებენ.

ცნობილია, რომ ტანვარჯიშის თანწყობის (სისტემის) და გზაწყობის (მეთოდის) მხოლოდ თეორიულად, წიგნებიდან შესწავლას არავითარი ღირებულება არა აქვს. საზრისთან (თეორიასთან) ერთად, აუცილებლად საქიროა ხანგრძლივი პრაქტიკული მეცადინეობაც, და თუ ხსენებულ წერილის ავტორი ამას გულისხმობს, როცა სწერს რომ მას „სხვა და სხვა მეთოდი შეუსწავლია“, მაშინ მე, როგორც საზოგადოება „შვედარდნი“-ს წარმომადგენელი, მას წინადადებას ვაძლევ, რომ ის წვერად შემოვიდეს ჩვენ საზოგადოებაში და შიგ შეედური ტანვარჯიშის განყოფილება გახსნას. ამით ის ჩვენ ერს ბევრათ მეტ სარგებლობას მოუტანს, ვინემ თავის ნაწყერებით, რომელთაც მიზნად ჩვენი ახლად დაწყებული დიადი, თუმც ჯერ ნორჩი საქმის შეფერხება აქვს დასახული.

დავით ჯაფრიშვილი.

ქუთაისის ტან-საგარჯიშო საზოგადოება „შვედარდნი“-ს ვარჯიშთავი.

ტან-ვარჯიშულ თამამეძებნის მნიშვნელობა.

ტან-ვარჯიშულ (გიმნასტიურ) თამაშობას, მიზნად აქვს გაართოს და გაამხიარულოს მოთამაშე და ამავე დროს ხელი შეუწყოს ადამიანის სხეულის განვითარებას და გაჯანმრთელებას. ტან-ვარჯიშული თამაშობანი ფიზიკურ ვარჯიშობის



დავით გაგვიშვილი
ქუთაისის „შეგარდენი“-ს ვარჯიშთავი.

ყოფილად დარგს შეადგენენ. ვარჯიშობის დროს ჩვენ უმეტეს ნაწილად ვცდილობთ მივამზავსოთ მხოლოდ იმ მოძრაობებს, რომელნიც ჩვენთვის წინათ უჩვენებიათ, თამაშობის დროს კი ყოველი ჩვენი მოძრაობა არის თავისუფალი და არა აქვს მიზანმიმართი ხასიათი.

15

ტან-ვარჯიშულ თამაშობების მნიშვნელობის მტკიცება სრულიად ზედმეტია. თამაშობანი ისეთივე ძველი არის, როგორც კაცობრიობა. არ ყოფილა და არ არის ადამიანი, რომელსაც ახალგაზდობის დროს არ გაერთოს თავისი თავი რაიმე თამაშობით. თამაშობა ადამიანის ტანის მოქმედების პირველი გამომხატველია თავიდანვე ბავშვის ჩასახული მისწრაფება ტანის მოძრაობისადმი ჰპოვებს პირველ დაკმაყოფილებას თამაშობებში, რომელნიც მას შრომის მაგიერობას უწევენ. საბავშვო თამაშობებს აგრეთვე დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს იმ მიზნით, რომ ბავშვი თამაშობებით ართობს თავის თავს, არ იწყენს და უსაქმურობასაც არ ეჩვევა. თამაშობა საჭიროა ადამიანისათვის, რათა განათლოს მან თვისი აზრი და ახალ საქმიანობისათვის შესაფერისი ძალაც მოიპოვოს.

თუ ადამიანს არ სძინავს, მას არ შეუძლია იყოს უმოქმედო. ძილში ადამიანი დასვენებას და დამშვიდებას ჰპოვებს, მხოლოდ ძალის და ენერჯის განახლებას თამაშობებში და საერთოთ ტან-ვარჯიშობაში.

თამაშობანი ყველასათვის ერთნაირათ საჭიროა. ამას ამტკიცებს ის მოვლენა, რომ თამაშობანი ყველა კულტურულ და არა კულტურულ ერებს შორისაა გავრცელებული, როგორც ცივ, ისე ცხელ ქვეყნებში.

თამაშობანი ზოგიერთ ხალხში ერთი თაობიდან მეორეში ზეპირ გადაცემითაც ვრცელ-

დებოდა; ზოგ თამაშობას კი გადიღებდა ერთი ტომის ხალხი მეორესაგან, ასე რომ ამ ჟამათ შეგვიძლია შევაძინოთ თუ ერთი და იგივე თამაშობანი როგორ გავრცელებულია სხვა და სხვა ხალხში, რასაკვირველია ზოგიერთ ცვლილებებით, იმისდა მიხედვით, თუ ამა თუ იმ ხალხმა როგორ შეუფარდა ეს თამაშობანი თავის ზნე-ჩვეულებას და თავის ქვეყნის პირობებს. საერთოთ თამაშობის ხასიათი შედეგია ხალხის ხასიათისა, რომელსაც თავისებური გავლენა აქვს მის აღზრდა-განვითარებაზე, მაგრამ ყოველივე ეს ხალხს ხშირათ ვერ შეუგნია და ვერ შეუთვისებია. შეგვიძლია ვსთქვათ რომ ეს საესებით შეიგნო მხოლოდ ელოლინებმა - ბერძნებმა, რომლებმაც ეს თამაშობანი სისტემატიურათ განავითარეს და მართლაც სრულიად გაიგეს მისი ღიადი მნიშვნელობა ხალხის აღზრდის საქმეში.

16

საუბედუროთ თამაშობების აღმზრდელობითი მნიშვნელობის შეგნება დროთა სვლაში თანდათან იკარგებოდა და აგრეთვე ამასთანავე ერთად დავიწყებას ეძლეოდა თვით თამაშობანიც. ადამიანის ფიზიკურ განვითარებაზე ძლიერ ცოტას ზიქრობდენ და განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ მის სულიერ განვითარებას აქცევდენ. მაგრამ რასაკვირველია უსაფუძვლოთ, ვინაიდან ადამიანის სულიერი განვითარება მკიდროთა დაკავშირებული მის ფიზიკურ განვითარებასთან, რაც მეცნიერულთაც დამტკიცებულია და თუ ადამიანი მარტო სულიერათ არის განვითარებული, ის ამას ვერ მოიხზარს, თუ კი მას ხელს არ უწყობა აგრეთვე ფიზიკური განვითარებაც. მაგალითები ბევრია იმისი რომ სულით ძლიერი ადამიანების ხელიდან ბევრი უკვდავი ნაშრომები გამოსულა, მაგრამ ამის მიზეზი უმთავრესად არის მათი წინაპარების ჯანსაღობა, მათი წინაპარების ფიზიკური განვითარება და არა მგონი ასეთ ადამიანებმა თავიანთი სიძლიერე, რომელიც მათ ოდნავათ შერჩენიათ წინაპარებისაგან, ვადასცენ მომავალ თაობას. ამასთანავე თუ ავიღეთ თანამედროვე ქვეყნების ტენიკური განვითარება, მისი მსვლელობა, აი ამას მეტი სულის სიძლიერე სჭირდება და უმთავრესათ კი სხეულის სიძლიერე. და ეს სიძლიერე თუ კი თავიდანვე არ განვითარეთ ადამიანის სხეულში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ის ისევე ბავშია, შემდეგში დასახიჩრებულ სხეულის გამოსწორება ძლიერ ძნელი საქმე იქნება. ამისათვის დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის აღზრდის დროს ხხვა და სხვა თამაშობებს, როგორც სახში, ისე სასწავლებლებში.

მიუხედავათ იმისა რომ ჩვენ ხალხმა უკვე შეიგნო ტან-ვარჯიშობის მნიშვნელობა, მთავრობაც ხელს უწყობს ამ საქმეს და რადგან დღევანდელ პირობებში ჩვენ არ გვაქვს საშეალება იარაღების და სხვა ბევრი საჭირო საგნების უქონლობის გამო ფართოთ დავაყენებთ ტან-ვარჯიშობის საქმე, ამისათვის საჭიროა არა ნაკლები ყურადღება მიექცეს აგრეთვე სხვა და სხვა თამაშობებს, ვინაიდან მათი მნიშვნელობა თითქმის ისეთივეა ადამიანის სხეულისთვის, როგორც ტან-სავარჯიშო იარაღებზე ვარჯიშობა.

ტან-სავარჯიშო თამაშობების მოსაწყობათ ხარჯიც ნაკლებია საჭირო და მათი მოწყობაც უფრო ადვილია, ამისათვის მათ უნდა მიექცეთ უმთავრესი ყურადღება და მთავრობამაც და ხალხმაც ერთგვარათ ხელი უნდა შეუწყოს ამ საქმის განვითარებას.



ქუთაისის ტან-საყარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ს წუროთენლოა კრებულის დების ჯგუფი.

მარტნიდან მარჯვნივ დგანან: კიკალოშვილის, მიქელაძის, ბოლქვაძის, მანაგაძის, ბაღრიძის, არველაძის, მოწონელიძის, ენუქიძის ასულნი; სხედან ბაღრიძის და ჟვანიას ასულნი, კაკო კაკაბაძე (მდივანი) და დავით ჯავრიშვილი (თავმჯდომარე), გაზარდიას, ჩიკვაძის, ფარულაეას და ცხადაძის ასულნი; ქვევით სხედან ბაბაძელის და გაბუნის ასულნი.

თამაშობანი არამც თუ მარტო ბავშვებში უნდა გავრცელდეს, არამედ მოზარდებშიაც, ვინაიდან საქართველოში ჯერ კიდევ ბევრის ხსოვნაშია ის თამაშობანი, რომელნიც ძლიერ იყო გავრცელებული ჩვენ სამშობლოს სხვა და სხვა კუთხეებში, უმთავრესად დღესასწაულების დროს, მომავალ წერილებში ჩვენ ვეცდებით მოვიგონოთ ოდნავათ მაინც ის თამაშობანი, რომელნიც უძველეს დროიდან ფართოთ იყო გავრცელებული ქართველ ხალხში და რომელიც დროთა სვლაში დავიწყებას მიეცა. მათი მოგონებით ჩვენ ვეცდებით ნათლათ განვაფითაროთ და გავაცნოთ მკითხველები როგორც ძველს, აგრეთვე ახალ თამაშობების ღიად მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში.

კაკო კაკაბაძე

ქუთაისის საზოგადოება „შევარდენი“-ს ვარჯიშთაფის აშხანაგი.

„შევარდენი“-ს დაარსების მიმოხილვა ქუთაისში.




ქეშმარიტი შევარდნული ტანვარჯიშობა ქუთაისში სრულიად ახალი მოვლენაა. 1909 წლამდე აქ არ არსებობდა არავითარი ტან-საყარჯიშო საზოგადოება და არც

18

ჰქონდა ქუთაისის საზოგადოების მომეტებულ ნაწილს მიიწ, თუ ყველას არა, რაიმე წარმოდგენა შევარდნულ ვარჯიშობაზე მის მრავალ ფეროვან მხარეებთან; თვით „შევარდნი“-ც, როგორც განსაზღვრული მთლიანი ერთეული, რომელიც თავს უყრის ხალხის საუკეთესო შვილეს „ძმობა—ერთობა—თავისუფლება“-ს ლოზუნგის ქვეშ, რომელიც არის დიდი ფაქტორი ხალხის ფიზიკურათ გაჯანსაღებისა, ზნეობრივათ გასაქტაქებისა და მისი ნებაყოფლობის განმტკიცებისა—სრულიად უცნობი იყო მისთვის, ასე რომ ვსთქვათ, მისი გარეგნული წმინდა ტანვარჯიშული მხარეც. მხოლოდ 1906 წელს როდესაც ქუთაისის ეწვია ძმა ლუკემის ხელმძღვანელობით თფილისის ერთ ერთ გიმნაზიის მოწაფეთაგან შემდგარი მოვარჯიშეთა ჯგუფი, რომელმაც გამართა გამოვლვა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ეზოში, მხოლოდ მაშინ ქუთაისის საზოგადოება გაეცნო შევარდნულ ტან-ვარჯიშობას, სამწუხაროთ მხოლოდ „შევარდნი“-ს გარეგნულ მხარეს, რადგან ზემო ნახსენებ ჯგუფსაც არ ქონოდა დასახელი ის მიზნები, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ და მას იმის მიცემა არ შეეძლო, რაც არ ჰქონდა; მაგრამ, ასეა თუ ისე ქუთაისმა გაიგო მიიწ, რომ ყოფილა კიდევ ერთი დარგი ხელოვნებისა, რი.მეოცი ჰპოულობს თავის განსახიერებას შევარდნულ ტან ვარჯიშობაში, და აღნიშნულ ჯგუფის გამოვლვამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია საზოგადოებაში. მრავალი გამოჩნდა მსურველი ამდაგვარ ტან-სავარჯიშო საზოგადოების დაარსების. მაგრამ სამწუხაროთ სურვილები სურვილებათ დარჩა და რეალური ნაყოფი მას არ გამოუღია. მრავალი იყო ამის მიზეზები. სხვათა შორის შეგვიძლია დავასახელოთ ის რომ არ იყო ისეთი პირი ან ჯგუფი, რომელიც აიღებდა ხელში ინიციატივას და ხორცს შეასხამდა ამ სურვილებს; საჭირო იყო ისეთი ძალა, რომელიც უსძღებდა ამ უხვ ნიადაგზე ჰირანხულის მოწვევას, რომელიც ჩაუყრიდა მკვიდრ საფუძველს ქეშმარიტ შევარდნულ საზოგადოებას და ხმა მალა აღიარებდა, რომ „შევარდნი“-ს არის ძლიერი ფაქტორი ხალხის განთავისუფლებისა მონაობისაგან. მაგრამ ვიმეორებ ასეთი ძალა არ იყო. თუ კი მაშინ ტან-სავარჯიშო საზღვადოების ფართო მაშტაბში დაარსება არ მოხერხდა, სამაგიეროთ სასწავლებლებში მან ძლიან გაიდგა ფესვები. თუ დღემდის ტანვარჯიშობა სასწავლებლებში, და ისიც მხოლოდ რამდენიმეში, განისაზღვრებოდა რაზმულ წყობილებით, ესლა ძალიან დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ვარჯიშობა ტან-სავარჯიშო იარაღებზე. პირველად ამისი მაგალითი მისცა ქუთაისის სასწავლებლებს რეალურ სასწავლებელმა, რომელმაც შეიძინა თითქმის ყველა იარაღები. მოწაფეები დიდის ხალისით ეკიდებოდნ საქმეს და მიუხედავთ იმისა, რომ მასწავლებელს, განსვენებულ იასონ გაბამეოს¹⁾ არ ჰქონდა გავლილი შევარდნულ ტანვარჯიშობის სკოლა, მათ მიიწც დიდ შედეგებს მიადწიეს. რეალურ სასწავლებლის შემდეგ კლასიკური გიმნაზიაც შეუდგა ტან-სავარჯიშო იარაღების შექმნას. აქ მასწავლებლათ მოიწვიეს ტანვარჯიშობის კარგი მკოდნე ბლაჟევი, ტომით ჩხეელი. მართათაა ამ სასწავლებელში ვარჯიშობა სწარმოებდა, ბევრი კარგი მოვარჯიშენიც იყვნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ამას არ შეეძლო ჰქონოდა ფართო მნიშვნელობა საზოგადოე-

1) გარდაიცვალა ქუთაისში 27 მარამობისთვეს 1919 წ. რედაქცია.


ბისათვის, რადგან ვარჯიშობა სასწავლებლის კედლებს არ ცილდებოდა. საზოგადოება მხოლოდ პასიური მაყურებელი იყო მათი. მხოლოდ 1912 წელს იასონ გაბაშვილის მეთაურობით დაარსდა ტან-საეარჯიშო საზოგადოება „СОКОЛ“-ი. მაგრამ მისი არსებობის დღეები ძალიან ხანმოკლე შეიქნა. ეს ადგილი გასაგებიცაა. საზოგადოება, რომელსაც არ ასულდგმულებს, არ აკავშირებს რაიმე განსაზღვრული მიზანი, ვერ იარსებებს. ვერ იარსებებდა საზოგადოება „СОКОЛ“-იც, რადგან ის იყო მხოლოდ და მხოლოდ ტანვარჯიშობის მოყვარეთა შემთხვევითი კონგლომერატი. წვერებს ურთი ერთ შორის არ ქონდათ არავითარი კავშირი. წვერების მიღების დროს არ ხელმძღვანელობდნენ არავითარ კრიტერიუმით. წვერებათ იღებდნენ ყველას, ვინც გამოსთქვამდა ამის სურვილს. ამიტომ ცხადია ორგანიზაციულად ეს საზოგადოება მეზად უძლიერი გამოდგა. მეცადინეობა რაციონალურათ არ სწარმოებდა და ფიზიკურ ზნეობრივ გაჯანსაღების მაგიერ, საზოგადოებამ წვერებს უფრო მეტი ზიანი მიაცენა. მართალია იქ იყვნენ ზღერი კარგი მოვარჯიშეები, მაგრამ მათი ვარჯიშობა უფრო აკრობატიკას წაგავდა, ვიდრე მიზანშეწონილ შევარდნულ ტან ვარჯიშობას. საზოგადოებისთვის სრულიად უცხო იყო მიზანი ხალხის გაჯანსაღების, ლოზუნგი „ძმობა - ერთობა - თავისუფლება“. და საზოგადოება კიდევ მოკვდა თავის ბუნებრივ სიკვდილით. მან იარსება მხოლოდ რამდენიმე თვე. ამის შემდეგ ტან-ვარჯიშობა ისევ სასწავლებლების პეროგატივას შეადგენს და სასწავლებლების იქით არ მიდის. 1919 წელს იყო კიდევ ცდა ი. გაბაშვილის მიერ ტან-საეარჯიშო საზოგადოების დაარსების, მაგრამ უნაყოფოთ, მხოლოდ ამავე წელს, ოქტომბერში თფილისის „შევარდენი“-ს მიერ გამართულ გამოსვლის დღეს პირველად არსდება ქუთაისში ნამდვილი ტან-საეარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“. ეს საზოგადოება არა ჰგავს 1912 წლისას. მას დასახული აქვს დიადი მიზანი - ქართველ ხალხის გაჯანსაღება ფიზიკურათ და ზნეობრივათ. „შევარდენი“-ს ნათლათ აქვს წარმოდგენილი, რომ მხოლოდ ერი, ჯანსაღი ფიზიკურათ და ზნეობრივათ, გასაღდევებულ ნებაყოფლობით შესძლებს თავის არსებობის დაცვას და პროგრესისაკენ სვლას. „შევარდენი“ ნათლად ხედავს, რომ ბრძოლა თავისუფლებისათვის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მას სწამს, რომ მხოლოდ ბრძოლით, შეგვიძლია ჩვენ ჩვენი უფლებების მოხვეჭა.



ბირჟის (შეპარდნულ) წარგის სისტემა.

| და რ გ ი | განყოფი- ლება | ხ ა რ ი ს ხ ი | ს ა ხ ე | ელემენტი |
|--|--|---|---|----------|
| I უიარაღო ვარჯიშობა | 1. სიარული, ზომითი რბენა, რბენა. 2. თავისუფა- ლი ვარჯიშო- ბა. 3. წყობითი ვარჯიშობა. | ა) თვით თავისუფალი მოძრაობა. ბ) ქვეითი ვარჯიში. ა) თვით წყობითი ანუ რაზმული მო- ძრაობა. ბ) ფერხული. გ) ცეკვა. | | |
| II საიარაღო ვარჯიშობა | 1. იარაღებით. 2. იარაღებზე. | ა) მცირე ორბირთებით ვარჯიში. ბ) სიმძიმეებით ვარჯიში. გ) ჯახებით ვარჯიში. დ) გაურხებით ვარჯიში. ე) სხვა მეორე ზარისწოდვან იარაღებით ვარ- ჯიში (ალმებით, ლახერებით, გრძელ ჯოხებით და სხვ.). ვ) ქვის, ბირთვის, ბადროს, შუბის, ბურ- თის ტყორცვა. ა) სახტუნელით ვარჯიშობა. ბ) თავისუფალი ხტომა მირბენით, კოკით გ) ვარჯიშობა ზარიხაზე, მაგიდაზე, ტაიქზე. დ) ორძელზე, ღერძზე. ე) რგოლებზე, ქანდერძზე და საქანტრია- ლოზე. ვ) კიბეზე, ასაცოც ლატანზე. ზ) დვირზე და ოჩოფებაზე. | 1. კიდვა და მისი ცვლა. 2. ბჯენა და მისი ცვლა. 3. ჯდომა და მისი ცვლა. 4. ხელითსვლა. 5. გაქნევა. 6. ბრუნვა. 7. ასწრაფა და აქანა. 8. ასვლა, აწლა. 9. გადასწრაფა და შედმოსწრაფა. 10. ტრიალი. 11. ელვა. 12. ყოცნა. | |
| III ჯგუფობრივი ვარჯიშობა (გუნდობებში) | | ა) გუნდობები. ბ) ტანვარჯიშული თამაშობანი. | | |
| IV ბრძოლვითი ვარჯიშობა | | ა) წინაღობა. ბ) კიდაობა. გ) კრივი. დ) ფარეკობა. | | |

20



ტფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“ სტადიონზე საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავზე 26. V. 1919 წ.

ბიორგზი ნიკოლაძე

ტფილისის საზოგადოება „შევარდენი“-ს თავმჯდომარის ამხანაგი.

ქართველ საზოგადოებას.

21

ევროპის და ამერიკის მოწინავე სახელმწიფოები დიდძალ ფულს ხარჯავენ ხალხის გაჯანსაღებაზე. შვეციაში, შვეიცარიაში, ფინეთში, გერმანიაში, ჩრდილო ამერიკაში უზვალა მოწყობილი ყოველგვარი ტან-სავარჯიშო ბაქნები, დარბაზები და დიდებული სტადიონები; ამ მოწყობილობის შექმნას როგორც მთავრობა და ქალაქთა თვითმმართველობანი, ისე სხვა და-სხვა კერძო დაწესებულებანი და შეძლებული კერძო პირნი ყველგან დიდ დახმარებას უწევენ. ამის მაგალითები ბევრია შვეციაში და გერმანიაში, განსაკუთრებით—კი ფინეთში; იქ როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში ყოველ ნაბიჯზე ტან-სავარჯიშო ბაქნებს და დარბაზებს შეხედებით. „შევარდენი“-ს სამშობლო—ჩეხეთში ტან-ვარჯიშობის განვითარებისთვის მთავრობას არავითარი დახმარება არ გაუწევია, რადგან ჩეხეთს თავისი საკუთარი მთავრობა არა ჰყავდა; სამაგიეროდ ჩეხეთის ყველა ეროვნული დაწესებულებანი ყოველმხრივ ეხმარებიან „ჩეხეთის შევარდენთა კავშირს“ (Ceska Obec sokolska) რადგან მათ ის თავისი ერის აღორძინების ძირითად ბურჯათ მიანიხათ; და ცხოვრებამ ნათლად დამტკიცა, რომ ეს მართლაც ასეა.

ჩვენში ეს საქმე საქართველოს შევარდენთა საზოგადოებამ ითავა და დაუყონებლივ შეუდგა თავისი მიზნის განხორციელებას. ერთ წელიწადზე მეტია, რაც რამდენიმე ათი კაცი ყოველ დღე 4 ან 5 საათის შეუსვენებლივ მუშაობით სრულიად უსასყიდლოთ ემსახურებიან საქართველოს „შევარდენი“-ს დიდ მიზანს. ჩვენ ერს ევროპიელებზე გაცილებით მეტი უნარი და ხალისი აქვს ტან-ვარჯიშობისა; ამიტომ

„შევარდენი“-ს მიერ თავიდანვე სწორედ დაყენებული საქმე ჩქარ ნაბიჯით წინ წავიდა და ხალხში ფეხის ვადგმა დაიწყო: მოვარჯიშეთა რიცხვმა მეტად იმატა, და კიდევ ერთი ასად იმატებდა, რომ თავიდანვე ამ ზრდას საქმის შემფერხავი მოვლენები წინ არ ვადლობოდა. მუშები და პოლიციის „შევარდენ“-ს არ აკლია; მას საქმიანობა ჰყავს ტან-ვარჯიშობაში ყოველმხრივ ევროპიულად მომზადებული პირები; მაგრამ საქმის ზრდისათვის და განვითარებისათვის ეს სრულიადაც არ კმარა: საქირა ბინების შოვნა, ტან-სავარჯიშო დარბაზების აკება, იარაღების მომზადება ან სახლვარჯიშოებიდან შემოზიდვა და სხ. ის მცირე რამ, რაც დღემდის მოგვეპოვებოდა, ამ არეულობის დროს განადგურდა და მოიხსო. ასე დაიღუპა სახლვარჯიშოებიდან ჩამოტანილი ფოთის გიმნაზიის საუკეთესო იარაღი. იუნკრების სასწავლებლის და ბევრი სხვა საუკეთესო ტან-სავარჯიშო დარბაზები გადაკეთებულ და გამოყენებულ იქმნენ სულ სხვა საქმიანობისათვის. ასეთ: ბედი ეწია, მაგალითად, ყოფილ სათავად აზნაურს გიმნაზიის ცნობილ, საგანგებოდ ტან-ვარჯიშობისათვის მოწყობილ დარბაზს, რომელიც თვით ტფილისის გარდა მთელს ყოფილ რუსეთში ცალი არ მოეპოვებოდა. ეს დარბაზი, მიუხედავად მრავალი ჩვენი თხოვნისა, ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ უბრალო აუდიტორიით აქცია. ყველა ამ პირობებში ჩვენი საქმე შეაფერხა; შენობების და იარაღის უქონლობამ იძულებული გაგვხადა „შევარდენ“-ში შემოსულის მრავალ მსურველთათვის კარი დაგვეკეტა, ე. ი. ხელოვნურად და ჩვენი საკუთარი ხელით შეგვეზღუდა ხალხში ტან-ვარჯიშობის გავრცელება.

22

ჩვენი ერის ფიზიკურ და ზნეობრივ აღორძინების საძირკველის ჩაყრისთვის უპირველეს საქმიანობას დაუწყებელივ ტან-სავარჯიშო იარაღების და შენობების შოვნა და მოწყობა შეადგენს. „შევარდენ“-ს თვითონ ამ საქმეში არაფერი შეუძლია; დახმარება-კი მისთვის, გარდა ყოფილი „სამხედრო კავშირი“-სა ჯერ არავის გაუწყევია. ეს მით უფრო საკრძობია, რომ დახმარება საქირაა ფართო და ყოველ მხრიდან მოწოდებული. ამ საქმეში გაწეული დახმარება უნაყოფო ხარჯათ არ ჩაივლის ჩვენი ხალხისთვის. ტან-სავარჯიშო საზოგადოების ჩვენში გავრცელება უხვად ანაზღაურებს მთავრობის ან საზოგადოების მიერ ამაში გაწეულ ხარჯებს; მართლაც, „შევარდენ“-ს მიზნით დასახული აქვს, ტან-ვარჯიშობის გარდა ხალხში სამხედრო ვარჯიშობაც ვავრცელოს; მას სურს მთავრობის დახმარებით თავის წევრებისთვის ყოველნაირი სახელდრო იარაღის ხმარების სწავლება მოაწყოს, მას სურს ხელი მოუწყოს ჩვენში ისეთი ჯარის შექმნას, რომელიც მომზადებაში, წეს მორჩილების (ე. ი. „დისციპლინის“) შეგნებაში, გამძლეობაში და ბრძოლის უნარში შეუდარებელი უნდა ვახდეს და რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოცნებაში არსებობს. რა თქმა უნდა ამგვარი ტან-სავარჯიშო საზოგადოებანი მედვარ სამხედრო ძალასაც შექმნიან, რესპუბლიკის აუტანელ სამხედრო ხარჯებსაც შეუდარებელივ შეამცირებენ. მაგრამ „შევარდენი“-ს მნიშვნელობა მხოლოდ ამითი არ განისაზღვრება, ეს არ არის მისი პირველი მიზანი. მის უმთავრეს ტ უპირველეს მიზანს შეადგენს ერის სიმხნის (ენერჯის) აღორძინება და ზნეობრივი გაჯანსაღება; „ძალა ლომისა, აღმაფრენა შევარდენისა“ ეს არის „შევარდენი“-ს დევიზი. ამაზე ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ უამისოდაც




ქუთაისის ტან-საფარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ს წურთვნელთა კრებულის ძმების ჯგუფი მარცხნიდან მარჯვნივ დგანან: ცაკაძე, ჩირაძე, სუხიაშვილი, მაიბორცა, ნაზარიშვილი; სხედან: ქვარიანი, მახარაძე, გორგაძე, კაკაბაძე (მდივანი), ჯავრიშვილი (თავმჯდომარე), სოხაძე, მეიფარიანი; ქვევით სხედან: მიქაბერიძე, მიქაბერიძე, ქორაქაშვილი, დარახველიძე.

ცხადია, რამდენად ღრმა და მნიშვნელოვანია „შევარდენი“-ს დანიშნულების ეს მხარე. ამითი იხსნება, რომ ახალგაზრდა მას ასე თავგანწირულად და ყოველად უანგაროდ ემსახურება და რომ შევარდენთა მჭიდროდ შეერთებულ მშურ ოჯახს ყოველ დღე ახალი მედგარი წევრები და მუშაკები ემატება. მხედველობაში მიღებული უნდა იყოს, რომ დარაჯების გარდა „შევარდენი“-ს ყველა თანამედრობის პირნი სრულიად უფასოდ მუშაობენ, მიუხედავად დღევანდელი ზემოქმედებისა და მიუხედავად იმისა, რომ მათი მუშაობა მეტად მძიმე პირობებშია ჩაყენებული.

ამ რიგად მთელი „შევარდენი“ სთვის გამოღებული ფული მხოლოდ ტან-საფარჯიშო მოწყობილობის შექმნაზე ან მოვლაზე დაიხარჯება, ე. ი. არსებითი (რეალური) ნივთების შექმნას მოუხდენს, რომლებსაც ფასი არასოდეს დაეკარგება.

ყველა ზემოთმოხსენებულის გამო, საზოგადოება „შევარდენი“ მიმართავს ქართველ საზოგადოების ყველა წრეებს, რათა შეძლების დავგარათ დახმარება გაუწიონ მომავალ „სრულიად საქართველოს შევარდენთა კავშირი“-ს დამყარებას და მოწყობას. ეს საქმე ჩვენი ღრმა რწმენით მთელი ჩვენი ერის მომავალ ბედის გამოკვდვის საფუძველს შეადგენს და ამ ჰედვაში ყოველ ახალ ნაბიჯს და კვირის დაკვირვას თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობაც აქვს; ამიტომ ამ საქმისათვის შემოტანილი ყველა წვლილი ან შემოწირულობა, რაც გინდა მცირე არ იყოს, მას მაინც რამდენადაც არ იქნება, წინ წასწევს და მომავალ თაობის მადლობას დაიმსახურებს.

რასაც მოგვეცემთ—თქვენია, თქვენი შეილები და შეილიშვილები.



ქუთაისის „შევარდენი“-ს კლუბის ესკიზი.

ინჟინერ ნიკოლოზ ბინიაშვილის შედგენილი!

მიხეილ გორგაძე


ქუთაისის საზოგადოება „შევარდენი“-ს წურთენელი.

ქუთაისის „შევარდენი“-ს შენობის საკითხი.

ერთ-ერთ უმთავრეს საკითხთა შორის ქუთაისის „შევარდენი“-ს ცხოვრებაში აუცილებლათ მუდმივი შენობის საკითხი უნდა ჩაითვალოს. ვინც „შევარდენ“-თან ახლო დგას და აღეგნებს თვალ-ყურს მის ყოფა-ცხოვრებას. მას რასაკვირველია ეცოდინება, თუ რა უხერხულ-ძნელ პირობებში უხდება მუშაობა „შევარდენ“-ს. დღეს-დღეობათ თითქმის უბინო „შევარდენი“ გაკვირებით მოთავსებულია ვაჟთა პირველ გიმნაზიის ტან-საფარჯიშო მორჩილ დარბაზში, რომელშიც გაკვირებით ეტევა 50—60 კაცამდე; ასე რომ დარბაზის სივიწროვის გამო მუშაობა ხდება ორ გამოცვლათ. დარბაზში მოვარჯიშე ჯგუფები ხეირიანათ ვერც კი გაუმართავთ.

(გარდა ამისა მკაველი კანდიდატათ ჩარიცხულნი ვერ მიუღია „შევარდენ“-ს საფარჯიშოთ ბინის უქონლობის გამო). აღვილი წარმოსადგენია თუ როგორ შევიწროებას განიცდიან მოვარჯიშენი, მაგრამ მიუხედავათ ამისა „შევარდენი“-ს წარმომადგენლები მაინც არ ზოგავენ შრომას იმ იმედით, რომ მომავალში მაინც მოუხდებათ უკეთეს პირობებში მუშაობა.

ვარჯიშობის შემდეგ აუცილებლათ საჭიროა ღუშები ან და უკიდურეს შემთხვევაში ხველი ტილოს ტანზე წასმა. აქ კი, რასაკვირველია მოვარჯიშენი ამას მოკ-



ქუთაისის „შევარდენი“-ს კლუბის გეგმა

ინჟინერ ნიკო თუმანიშვილის შედგენილი

ლებული არიან, პირსაბანებისა და ღუშების უქონლობის გამო და ხშირად გაოფლიანებული მიდიან ხოლმე სახში, რაც ვაციებს ხელს უწყობს. არ შეეგებები სხვაგვარ დაბრკოლებებს (როგორც მაგალითად იარაღებისა, სავარჯიშო ტანსაცმელების და სხ. საკითხებს), რადგან აქ მხოლოდ შენობის საკითხს მსურს შეეხო. ასეთ ძნელ პირობებში უხდება დღეს-დღეობით „შევარდენ“-ს მუშაობა, მაგრამ მიუხედავად სხვადა-სხვაგვარ დაბრკოლებებისა, მისი მუშაობა მეტად ნორმალურად მიდის და „შევარდენი“ იმედოვნებს, რომ იგი უყურადღებოთ არ დარჩება და სულ მოკლე ხანში ელირსება თავისთვის შესაფერის მუდმივ ბინას, სადაც მას შეეძლება უფრო ფართოდ, უფრო ღრმად დააყენოს თავისი საქმე. „შევარდენი“ იმედოვნებს, რომ ამ ფრიად საგულისხმო და სიმპატიურ-ეროვნულ საქმეში მას მუდამ ეყოლება დამხმარენი. ბოლო ხანებს ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს „შევარდენი“-ს მუდმივ შენობის შესახებ. ქუთაისის სამაზრო ერობა პირდება „შევარდენ“-ს თავის მხრივ დახმარებას,¹⁾ რამდენათაც ეს მისთვის შესაძლებელი იქნება, მაგრამ მართო ერობის დახმარება არ იქნება საკმარისი; აქ საჭიროა მონაწილეობა ფართო საზოგადოებამ მიიღოს. მუდმივი შენობის აგება, რომლის გეგმაც უკვე შედგინა ინჟინერ ნიკო თუმანიშვილმა, (იხ. სურათი: შენობის ესკიზი) განზრახულია ვაჟთა პირველ გიმნაზიის გვერდით რიონის პირად, სადაც ბალავერი და ერთ-ერთი კედლის ნაწილი უკვე ამოშენებულია. ამ შენობაში მოთავსებული იქნება: „შევარ-

1) ქუთაისის „შევარდენ“-მა სამაზრო ერობიდან წინასწარ ზარჯებისათვის ჯერჯერობით უკვე მიიღო ერთდროულ დახმარების სახით ათი ათასი მანეთი.

რედაქცია.

დენი“-ს კანცლორია, ქალების და ვაჟების საპირფარეოები, ლუშები და სავარჯიშო დარბაზი (იხ. სურათი). როგორც ხარჯთ აღრიცხვაში გამოანგარიშებულია მოქალაქე ნიკო თუმანიშვილის მიერ, მომავალი მულმივი შენობა „შევარდენი“-სა დაჯდება ერთ მილიონამდე. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის ფართო საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოთ ასეთ დიდად მნიშვნელოვან საქმეს და ესეც რომ არ იყოს, ჩვენ ვფიქრობთ ყოველი მოქალაქე ვალდებულია ამ ეროვნულ საქმეს დახმარება გაუწიოს, რითაც კი შეუძლია.

მაშ მოქალაქენო, მიეცით შეძლება თქვენს „შევარდენ“-ს თავისუფლათ გაშალოს თავისი ნორჩი ფრთები და თავისუფლად იცურავეს საქართველოს ამომავალ მზის სხივებში, რათა მით ხელი შეუწყოს ნორჩ რესპუბლიკის ზრდა-განვითარებას.

ტან-განჯიშობის საქმე ქუთაისის სასწავლებლებში.

26

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან მყოფ საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკურ განვითარების მთავარი გამგის დაეაღებით თფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“-ს ვარჯიშთაის ამხანაგმა დავით ჯავრიშვილმა გასულ წლის ენკენისთვეში დათვალვირა ქუთაისის სასწავლებლები და შესაფერისი მოხსენებაც წარუდგინა ფიზიკურ განვითარების მთავარ გამგეს. აქვე მოვიყვანთ მოხსენებიდან ზოგიერთ ადგილებს, რომელნიც ყურადღების ღირსია.

რეალურ სასწავლებლის ტან-სავარჯიშო დარბაზს აქვს სიგრძე 18 არშინი, სიგანე 12 არშინი და სიმაღლე 5 არშინი, ამ დარბაზის სიმატარაის გამო, მთელი კლასით მუშაობა ყოვლიად შეუძლებელია, რადგანაც იარაღებზე სამუშაოთ ძლივს მოეწყობა ორი ათათ კაციანი ჯგუფი, საწვდომ ღერზე და რაღობებზე ქანში შერის სიღაბლის გამო ვარჯიშობა არ შეიძლება. სასწავლებელს აქვს ტან-სავარჯიშო იარაღები. თითქმის ყველას სჭირდება შეკეთება. ტან-სავარჯიშო დარბაზად უნდა მოეწყოს მეორე სართულში მყოფი ოთახი, რომელსაც აქვს სიგრძე 84 არშინი, სიგანე 18 არშინი და სიმაღლე 12 არშინი, სასწავლებელს დიდი, სწორი და ფართო ეზო აქვს, სადაც, საუაროდ ტან-ვარჯიშობის გამოსვლების დროს თავისუფლად დაეტევა ათ რივიანი, გაქიბულ ხელზე გაჯრილი 160—180 კაცი.

სასწავლებელს ტან-ვარჯიშობის მასწავლებელი არა ჰყავს. (რედაქციის შენიშვნა: ქუთაისის „შევარდენ“-მა მასწავლებელი უკვე შისკა რეალურ სასწავლებელს).

ვაჟების პირველ გიმნაზიის ტან-სავარჯიშო დარბაზს აქვს სიგრძე 86 არშინი, სიგანე 10 არშინი და სიმაღლე 6 არშინი. ეს დარბაზი მოთავსებულია ქვეითა სართულში, კედლებს ეტყობათ სინესტე, არ არის საქმაოთ სინათლიანი. გიმნაზიის აქვს ტან-სავარჯიშო და სწვა და სწვა სასპორტო სათამაშო იარაღები.

ზოგიერთ იარაღს სჭირდება შეახლება. გიმნაზიის მეორე სართულში აქვს ოთახი სიგრძით 80 არშინი, სიგანით 14 არშინი და სიმაღლით 12 არშ. რადგანაც ეს დარბაზი თითქმის სრულიად აქმაყოფილებს ტან-სავარჯიშო დარბაზის მოთხოვნილებას, ჩემის აზრით ტან-სავარჯიშო დარბაზად უნდა მოეწყოს ეს ოთახი, მით უმეტეს, რომ ამ ოთახს ტან-სავარჯიშო დარბაზათ გადაკეთებას არ მოუნდება დიდი ხარჯი, შრომა და მუშაობა, რადგანაც ამ დარბაზს ჭერთან გაუვლის მხოლოდ ერთი გასწვრივი ბოძი, რომელზედაც ჩამოკიდდება რგოლები, ასაკოცი ლატანი და კიბე. როცა გიმნაზიის დასჭირდება ეს შენობა სწვა

რაიმე დროებით საქორევისათვის, მივალითად წარმოდგენების გაიმართვისათვის, ეს ყველა ზემოსწენებელი იარაღი რამდენიმე წუთის განმავლობაში შეიძლება ჩამოსხნას. გინწაზის აქვს დიდი, ფართო და ყოველ მხრიდან შემოღობილი ეზო, რომელიც გინწაზის ტან-სავარჯიშო გამოსვლებისათვის სრულიად საკმაო არის. ტან-ვარჯიშობის მასწავლებელი გინწაზის არ ჰყავს. (რედაქციის შენიშვნა: მასწავლებლათ უკვე არის თვითონ. დ. ჯაფარიშვილი). ვარჯების მეორე გინწაზის არა აქვს არც ტან-სავარჯიშო დარბაზი და არც იარაღი. აქვს ოთხი დერეფანი, თითო მათგანი სიგრძით 42 არშინი, სიგანით 18 არშინი და სიმაღლით 6 არშინი. მაგრამ ამ დერეფანებში ტან-ვარჯიშობის გაკვეთილების წარმოება ყოველად შეუძლებელია, რადგანაც ხელს შეუშლის მეტადინეობის კლასებში, რომლის კარებებიც ამ დერეფანებში გამოღია. სასწავლებელს დიდი, ფართო და ღობე შემორტყმული ეზო აქვს.

ტან-ვარჯიშობის მასწავლებელი-არ ჰყავს. ქალების წმ. ნინოს გინწაზის თუმცა არა აქვს ტან-სავარჯიშო დარბაზი, მაგრამ ის ორი ოთახი რომელიც მოთავსებულია ქვეთა სართულში, სრულიად აკმაყოფილებენ ტან-სავარჯიშო დარბაზის მოთხოვნილებებს. ერთ ოთახს აქვს სიგრძე 25 არშინი, სიგანე 15 არშინი და 12 ევრშოკი და სიმაღლე 6 არშინი, მეორეს-სიგრძე 30 არშინი, სიგანე 15 არშინი და 12 ევრშოკი და სიმაღლე 15 არშინი. ყველა ჩემს მიერ დეტალირებულ დარბაზებიდან მხოლოდ ამ დარბაზმა მოახდინა ჩემზედ სასურველი შობაქედობა. მაგრამ საუბედუროთ ამ სასწავლებელს არა აქვს არც ერთი ტან-სავარჯიშო იარაღი, გარდა რამდენიმე სასპორტო სათამაშოების იარაღებისა. სასურველია რაც შეიძლება ადრე მოეწყოს ეს დარბაზი ტან-სავარჯიშო დარბაზათ. სასწავლებელს დიდი და ფართო ეზო აქვს. ტან-ვარჯიშობის მასწავლებელი გინწაზის არა ჰყავს. (რედაქციის შენიშვნა: მასწავლებლათ უკვე არის თვითონ. დ. ჯაფარიშვილი).

ქალების გაბრიელის სახელობის სასწავლებელს არა აქვს არც ტან-სავარჯიშო დარბაზი და არც იარაღი. აქვს ორი დერეფანი. თითო მათგანს სიგრძე აქვს 35 არშინი, სიგანე 7 1/2 არშინი და სიმაღლე 6 არშინი. სასწავლებელის ჟუროსის ახრით დერეფანებში ტან-ვარჯიშობით მეტადინეობა არ დაუშლის კლასებში გაკვეთილებს. სასწავლებელს დიდი ეზო აქვს. ტან-ვარჯიშობის მასწავლებელი არა ჰყავს.

ქალების პირველ გინწაზის არა აქვს არც დარბაზი და არც იარაღი. ქალების „სინათლე“-ს გინწაზის აქვს ოთახი სიგრძით 14 არშინი, სიგანით 7 არშინი და სიმაღლით 5 და ნახევარი არშინი, სადაც მასწავლებელი ოღლა იოსებ შარაბიძის ასული აწარმოებს ტან-ვარჯიშობის გაკვეთილებს. მე დავათვალიერე ის პროგრამა, რომლითაც ვაღის მასწავლებელი შარაბიძე გაკვეთილებს. მთელი პროგრამა წარმოადგენს მხოლოდ თავისუფალ მოძრაობას და ცეკვას. შევღერე სისტემის მიხედვით შედგენილი თავისუფალი მოძრაობა, ძალიან მოკლე და ერთმხრივი არის მოყვანილი პროგრამაში. ეზო პატარა აქვს.

როგორც ჩემ მოხსენებებიდან ჩანს, თითქმის ქუთაისის ყველა სასწავლებლებს დიდი, სწორე და ფართო ეზოები აქვთ, ყველა ამ ეზოებში საჭიროა მოეწყოს ლაუნ-ტენისის და საერთო სასპორტო სათამაშოების და მსუბუქ ათლეტიკის პატარა მოედნები; ეს მისცემს საშუალებას ტან-ვარჯიშობის მასწავლებლებს ზამთრის სიმთვინის გარდა, ვარჯიშობა აწარმოვონ სუფთა ჰაერზე გაჩეთ ეზოში. რადგანაც სწავლა-განათლების სამინისტროს მიზნათ აქვს დასახული რაც შეიძლება მაღე შემოიღოს ყველა საქართველოს რესპუბლიკის სკოლებში ტან-ვარჯიშობის გაკვეთილები. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა რაც შეიძლება ადრე მიიღოს სამინისტრომ ზომები, რათა შეკეთებულ იქნეს დარბაზები და ტან-სავარჯიშო იარაღი საქართველოს სასწავლებლებისა.

ჟურნალ „შეგარდნი“-ს რედაქციას საჭიროთ მიაჩნია მოიყვანოს აგრეთვე იმ ხარჯთ-აღრიცხვის ცხრილი, რომელიც ზემოთ მოყვანილ მოხსენებასთან ერთათ იყო წადგენილი განათლების სამინისტროში. ამ ცხრილიდან ნათლათ ჩანს, თუ რა თანხა ესაჭიროება ქუთაისის სასწავლებლებს, რათა იქ ახლო მომავალში ტან-ვარჯიშობის საქმე მკვიდრ ნიადაგზე დადგეს. საჭიროა განათლების სამინისტრომ სასწრაფო ზომები მიიღოს ტან-სავარჯიშო დარბაზების შესწორებისთვის და შესაფერისი თანხაც გამოანახოს თანახმათ ქვემოთ მოყვანილ ცხრულისა:

ქუთაისის საშუალო სასწავლებლების ტან-სავარჯიშო დარბაზების შეკეთების და ტან-სავარჯიშო და სასპორტო სათამაშოების იარაღების ახლათ შექმნის ხარჯთ-აღრიცხვა.

| სასწავლებლების სახელწოდებანი | დარბაზის შეკეთება | | იარაღის შეკეთება | | ახალ იარაღის შექმნა | | სასპორტო სათამაშოების იარაღის შე- ქმნა | | ს უ ლ | |
|---------------------------------|----------------------|----|---------------------|----|------------------------|----|---|----|-------|----|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| რეალური სასწავლებელი . | 4000 | — | 3500 | — | 2500 | — | 1500 | — | 11000 | — |
| ვაყების I გიმნაზია | 4000 | — | 3500 | — | 2500 | — | 1500 | — | 11500 | — |
| „ II გიმნაზია | | | | | | | | | | |
| ქალების წმ. ნინოს სასწ. . | 4000 | — | — | — | 4000 | — | 1500 | — | 9500 | — |
| „ გაბრ. სახელ. „ | 3000 | — | — | — | 2500 | — | 1500 | — | 7000 | — |
| „ I გიმნაზია | 3000 | — | — | — | 2500 | — | 1500 | — | 7000 | — |
| „ სინათლის გიმნაზია | 3000 | — | — | — | 2500 | — | 1500 | — | 7000 | — |
| ს უ ლ . . . | — | — | — | — | — | — | — | — | 53000 | — |

28

- შენიშვნა:** 1. დარბაზების შეკეთების ცხრილში შედის აგრეთვე ეზოებში სასპორტო სათამაშოების მოედნების გამართვა და ტან-სავარჯიშო „კონსტრუქციის“ აშენება.
2. საეკო მთლიან გიმნაზია არ არის ნაჩვენები, რადგანაც არა აქვს დარბაზი.

ძ. კ.

+ იახუნ გაბაშვილი

ძვირფას მასწავლებლის ხსოვნას.

1919 წელს 27 მარტობისთვის ქუთაისში ხანმოკლე ავთიმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ტანვარჯიშის მასწავლებელი იახუნ გაბაშვილი. შესაძლებელია, ქუთაისის ფართო საზოგადოებისათვის ის შეუუმჩნეველი და ჩვეულებრივი წევრი იყო, მაგრამ საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელსაც ცნობს, რომ პიროვნების ჰარმონიულად განვითარება შეუძლებელია თუ იგი არ იქნა განვი-

თარბული ფიზიკურათ, რომ ფიზიკური განვითარება არის ხალხის განთავისუფლების, მისი ზრდა-განვითარების წინამორბედი, განსვენებული მეტად დაუფასებელი იყო. ზედმეტია აქ ლაპარაკი შესახებ იმისა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ განვითარებას პიროვნების, როგორც ასეთის განვითარების საქმეში კერძოდ და მთელი ჩვენი ხალხისათვის საზოგადოდ. და სწორედ აი ამ დიად მიზანს ემსახურებოდა იასონ გაბაშვილი. მართალია ამ დარგში მას ბევრი არ გაუკეთებია და არც შეეძლო გაეკეთებია, რადგან ეს მრავალ ობიექტიურ მიზეზების ბრალი იყო, მაგრამ ის კი შემძღლია თამამათ ვსთქვა, რომ შევარდნულ იღებების გავრცელების საქმეში ის ქეთაისში პირველი მერცხალი, პიონერი იყო. მისი ენერჯის და ნებაყოფლობის შედეგი იყო, რომ ქუთაისში პირველად შემოიღეს, თუმცა ვიწრო მაშტაბში, შევარდნული ტან-ვარჯიშობა. მუდამ დაუღალავი, მუდამ ხალისით, ენერჯით აღსავსე, მოხუცი ფიზიკურათ, მაგრამ ძლიერი სულით და ნებაყოფლობით ის ახალგაზრდულ სიმამაცით და აღფრთოვანებით ეკიდებოდა თავის საყვარელ საქმეს და კიდევ პირნათლად ასრულებდა მოვალეობას. ქუთაისში ის ყოველთვის სათავეში უდგა შევარდნულ მოძრაობას; ის თავგანწირული მუშაკი იყო ამ სარბიელზე. შევარდენი მისთვის ყველაფერი იყო. ის ზემოზდა შევარდენის გამარჯვებით, სადაც არუნდა ყოფილიყო ეს და მტკიენელობდა მისი ტკივილებით. ის შევარდენი იყო მთელის თავის არსებით. მოვალეობის შეგნება, სულის სიმტკიცე, სიმამაცე და სიმარღე მისი თანდაყოლილი თვისებები იყო. მას არ აზინებდა ის, რომ ძალიან ხშირად ამ საქმეში სრულიად მარტო რჩებოდა. ის ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდა და მტკიცე განაგრძობდა სგლას დასახულ მიზნისაკენ. მან პირველათ დაარსა ქუთაისში ტან-სავარჯიშო საზოგადოება; მან პირველათ ჩაუყარა საფუძველი შევარდნულ ორგანიზაციას აქ. დღევნული 1910 წლიდან მან რამდენჯერმე გამართა შევარდნების საჯარო გამოსვლა. სასიამოვნო სანახავი იყო ის ამ გამოსვლების დროს. ის, შევარდენისამებრ დაჰქროდა ტან-სავარჯიშო მოედანზე, მის ყველა განკარგულებებში ნათლად გამოსჰვივოდა ხასიათის და ნებისყოფის სიმტკიცე, მისი ორგანიზაციული ნიჭი. წარსულ წლის- 28 მაისის დღესასწაულშიაც შეიტანა მან თავისი წვლილი. მან დაამშენა საერო ზეიმი თავის ახალგაზრდა შევარდნების გამოსვლით. ამ გამოსვლის შემდეგ მას განზრახული ჰქონდა ტან-სავარჯიშო საზოგადოების დაარსება, მაგრამ უღმობღელმა სენმა არ დააძალა ამის განხორციელება და ხელიდან გამოგლიჯა შევარდენს თავისი აქტიური წევრი. მასში შევარდნულმა ორგანიზაციამ დაჰკარგა თავისი ერთგული და ენერჯით აღსავსე მუშაკი. და მწამს ყოველ გულწრფელი შევარდენი ყოველთვის პატივისმცემელი იქნება მისი ხსოვნის.

ბიბლიოგრაფია. რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი, რომელიც შეიცავს უმთავრეს ტერმინებს მათემატიკიდან, ფიზიკიდან, მეხანიკიდან, ქიმიიდან, მინერალოგიიდან, გეოლოგიიდან, არტილერიიდან და ტექნიკიდან, საშემპარღნო ტერმინოლოგიის დამატებით. ტფილისი 1920 წ. ფასი 100 მან. 280 გვ.

ზემოთ მოყვანილი სათაური ეკუთვნის იმ ახლად გამოსულ წიგნს, რომელიც გამოცემულია საქართველოს სატექნიკო საზოგადოებისაგან, მხოლოდ შედგენილია ამავე საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ. ჩვენს აღწერაში არ შევხებით სრულიად ამ ლექსიკონის გარჩევას, ვინაიდან მისი გარჩევა სპეციალისტებმა უნდა იკისრონ, მხოლოდ არ შეიძლება აღუნიშნავთ დავსტოვოთ ის მოვლენა, რომ სატექნიკო საზოგადოებას უკისრია აგრეთვე დამატებათ დაერთო თავის ლექსიკონზე „საშეგარდნო ტერმინოლოგია“.

30

საშეგარდნო იდეების გავრცელება საქართველოში უკანასკნელ ხანებში მკვიდრ ნიადაგზე დგება. ტან-ვარჯიშობის საქმე, რომელსაც აქამდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, დღეს მას დიდ მფარველობას უწყევს სუყველა, ვინც კი დაარწმუნებულია იმაში, რომ ჩვენს ხალხს უკვე ფიზიკურათ გადაგვარებულს მხოლოდ ეს დიდი საქმე, ტან-ვარჯიშობის საქმე იხსნის. და მართლაც ჩვენ მოწმენი ვართ თუ რა სისწრაფით იზრდება ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში საქართველოს საზღვრებში ტან-საეარჯიშო საზოგადოება „შეგარდენი“. დიდ გაფაციცებით და გულმოდგინეთ მუშაობს აგერ რამდენიმე წელია თფილისის „შეგარდენი“ და ჩვენ მოწმენი ვართ მათი ნამუშეგარისა. ერთი ნაწილი ამ მუშაობისა არის სწორეთ თარგმნა და შედგენა „საშეგარდნო ტან-ვარჯიშობის ტერმინოლოგიისა“. ეს მართლაც და საძნელო საქმეა და ის კიდევ იკისრა ტფილისის საზოგადოება „შეგარდენი“-ს წუთრნელთა კრებულმა. ჯერ კიდევ 1911—1913 წლებში იყო თარგმნილი ეს ტერმინოლოგია, მხოლოდ შესწორებული და შევსებული 1918 წელში.

„საშეგარდნო სახელსახების რომელიმე არასლავურ ენაზე გათარგმნა — ვკითხულობთ საშეგარდნო ტერმინოლოგიის წინასიტყვაობაში — ძალიან ძნელათ დასაძლევ საქმეს წარმოადგენს. ჩებებისგან ბევრჯერ გავვიგონია ამაყად გამოთქმული აზრი: «ჩვენისთანა ტან-ვარჯიშული სახელსახება არც არავის აქვს და არც ექნება»-ო. მიუხედავად ამისა სლავურ ენების სიტყვათა შესანიშნავი ბმა-დრეკადობის ქართულად გადმოღება სრულიად შესაძლებელი ყოფილა. ამიტომაც ჩებური სახელსახების მეცნიერული ერთნაირობა და სიტყვათა სიმოკლე თარგმანშიაც სავსებით დაცულია. პირიქით, ქართული ენის სიმდიდრემ შეძლება მოგვცა ქართულ სახელსახებაში, ჩებურთან

შედარებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეგვეტანა და ამით ქართულ ტან-ვარჯიშულ სახელსახეების მეცნიერული ხასიათი თვით ჩეხურზე უფრო მკაფიოდ აღგვესახა“.

მართლაც და თვალი რომ გადაავლოთ ამ საშვეარდნო ტერმინოლოგიას ანუ სახელსახეებს, ჩვენ შევამჩნევთ ტანვარჯიშობის დარგში ბევრ ახალ მნიშვნელოვან სიტყვებს, ნამდილათ რომ ესთქვათ სიტყვებს, უძველეს დროიდან რომ არის ხმარებული ქართველებში და ამ ნამდვილ ქართულ თვისებების დაცვით სწორეთ რომ ყურადსაღებია ეს სახელსახეება, რომელიც ამ ჟამდ უკვე „მიღებულია ყველა ქართულ „შვეარდენი“-ს საზოგადოებებში და საქართველოს სსრკ-ის სასწავლებლებში, როგორც ტანვარჯიშის სავალდებულო სახელსახეება“ (გვ. 267). შესაძლებელია მომავალში კიდევ უფრო შეივსოს და შესწორდეს ეს ტერმინოლოგია, ვინაიდან ზოგი ტერმინები ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული და შედგენილი, რაც თვით ლექსიკონიდან ჩანს; ასე რომ შესწორებით და შევსებით მხოლოდ მოიგებს ტერმინოლოგია.

საშვეარდნო ტერმინოლოგიას, როგორც დამატებას ტენიკურ ლექსიკონის, უჭირავს 18 გვერდი (263—278) და კარგათ არის დაბეჭდილი. კარგს იზამს ტფილისის საზოგადოება „შვეარდენი“, რომ ამ ტერმინოლოგიას ცალკე წიგნაკათ გამოსცემდეს, რადგან ის „შვეარდენი“-ს ყოველ წევრისათვის დიდ საჭიროებას შეადგენს.

მოწოდება

აგერ სამი თვეა რაც ქუთაისში დაარსდა ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შვეარდენი“, რომლის მიზანიც ძლიერ დიდი და ყურადსაღებია. ვინ არ უწყის, თუ რა ქსელი გააბა ამ საზოგადოებამ მთელს დედა-მიწაზე და თავის მუშაობით რა დაუფასებელი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას. ჩეხების პატარა სამშობლოდან „შვეარდენი“-ს იღვა მთელს მსოფლიოს მოეფინა და ჩვენს სამშობლოშიც ამ ოცი წლის წინათ პირველათ დაიწყო მოქმედება „შვეარდენი“-ს ტან-სავარჯიშო საზოგადოებამ, მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში სუსტი იყო მისი მოქმედება, სუსტი იყო იმისათვის, რომ ძველი წესწყობილების მეთაურნი ფრთებს უკვეცავდენ „შვეარდენს“. მაგრამ რა ჟამს გაისმა თავისუფალი ხმა რუსეთის რევოლიუციის შემდეგ, შევარდნულმა აზრებმა დიდი ნიადაგი მოიპოვეს თავისუფალ საქართველოში, ვინაიდან უმთავრესათ თავისუფალ ქვეყანაში შეუძლია „შვეარდენ“-ს თავისუფლათ ნაზარდი და თვით ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შვეარდენი“-ს მიზანიც ამას გვეუბნება:

„საზოგადოების მიზანია—ვიკითხოლობთ: ქართულ ტან-სავარჯიშო საზოგადოება „შვეარდენი“-ს წესდებაში—აღზრდა სამშობლოსათვის ღირსეული შეილებისა, გან-

ვითარება თავის წევრებში ტანის სისხარტისა, სიმარდისა, ვაჟაკობისა და გამბე-
დაობისა, აგრეთვე შეგნება წესრიგიანობისა (დისციპლინისა), მოვალეობისა, ძმობა-
ერთობა-თავისუფლებისა, სიმშვენიერის გრძნობის განვითარება და ამ რიგად ხელის
შეწყობა ქართულ შვედარდნობის აზრის განხორციელებისვის, რომელიც მისწრაფ-
ვის საზოგადოებრივ ტან ვარჯიშის ფართო გავრცელებით გააძლიეროს საქართვე-
ლოს ფიზიკური და სულიერი სიმტკიცე“.

აი სწორეთ ამ ზემოთ აღნიშნულ მიზნის მისაღწევათ მოქმედობს თფილისში „შვედარ-
დენი“ და ესევე მიზანი დაისახა ქუთაისის „შვედარდენ“-მაც. უკვე წესიერად მიმდი-
ნარეობს მაცადინობა და მუშაობა, უკვე მძლავრათ შლის ფრთებს „შვედარდენი“
ქუთაისში და ახლო მომავალში წარსდგება იგი ქუთაისის და სხვათა საზოგადოების
წინაშე თავის ნამოქმედარით მხოლოდ ამგვარ მისწრაფებას ხელს უშლის მისი ფინან-
სიური სისუსტე და ამიტომ აუცილებელია მისთვის ამ ნივთიერ საშუალებისათვის,
როგორც ნორჩ ახალ საზოგადოებამ, უმორჩილესი თხოვნით მიმართოს მთავრობას,
სხვა და სხვა დაწესებულებებს და კერძო პირებს და დარწმუნებულია რომ ერთდრო-
ულ დახმარებით ან მუდმივ წყაროს აღმოჩენით მათი მხრით „შვედარდენი“ აღფრთო-
ვანებით გაშლის ფრთებს ქუთაისის ახალგაზდათა საკეთილდღეოთ.

ქუთ. ტან-სავარჯიშო საზოგ. „შვედარდენი“-ს საბჭო.

32

სურათები გადაღებულია მიხაილოვის ფოტოგრაფიაში ქუთაისში.

კლიშეები გაკეთდა სოგამონიანის და სუტჩიანის ცინკოგრაფიაში ტფილისში.

ასოთ-ამწყობი მიხეილ გარსოშვილი.

მემანქანე ივლიტე ჩიხლაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი სოსო ასლანიშვილი.

გამომცემელი „შვედარდენი“-ს საბჭო.



ქუთაისის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სტამბა.

21/68

~~12~~

10



25 მბ.